პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 294 (9454) | კვირა, 14 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანები, რომლებმაც დროს გაუსწრეს



მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული საქართველოს ქარხნებსა და ფაბრიკებში, მაღაროებსა და შახტებში. ნოვატორი სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ოსტატები შრომის ახალი მეთოდების დანერგვისა და საბჭოთა ტექნიკას უკანასკნელი მიღწევების უნარიანად ათვისების საფუძველზე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

პირველ სურათზე ჩვენ ვხედავთ ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის „მაღაროელის“ სტახანოველ ა. ბარამიძეს, რომელიც ერთდროულად ოთხ ჩარხს უწევს მომსახურებას. მას წელს უკვე გამომუშავებული აქვს სამნახევარი წლის ნორმა.

მარჯვნივ სურათის წინა პლანზეა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის ამწყობი ზეინკალი შ. ხუციშვილი. ამ ქარხნის კოლექტივმა წელს ოთხი სახის აქტინომეტრიული ხელსაწყოების სერიული წარმოება აითვისა. სტახანოველ შ. ხუციშვილს, რომელიც აქტინომეტრს აწყობს, უკვე გამომუშავებული აქვს 8 წლის ნორმა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გავაძლიეროთ ადგილობრივი საბჭოების, მათი დეპუტატების მუშაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ, დიდი სტალინის გენიალურმა ნაშრომმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეაიარაღა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ისტორიული პროგრამით. საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის ლენინ—სტალინის დიადი პარტიის მიერ დასახული ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის. ამ საქმეში დიდია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისა და აღმასკომების როლი.

პარტიის მეცხრამეტე ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება ადგილობრივი საბჭოებისა და მათი დეპუტატებისაგან მოითხოვს მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ახლებურად გარდაქმნას, მასებთან კავშირის უფრო განმტკიცებას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის, აქტივობის ფართოდ გაშლას. საბჭოები, როგორც მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები, მტკიცედ არიან დაკავშირებულნი ხალხთან. ამ ურღვევ კავშირშია საბჭოების ძალა.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში ადგილობრივი საბჭოების მუშაობა უფრო სისხლსავსე, ქმედითი გახდა, გაუმჯობესდა ორგანიზაციულ-მასობრივი საქმიანობა, უფრო განმტკიცდა საბჭოების კავშირი მასებთან. ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობა რეგულარულად იწვევს სესიებს, რომელთა განსახილველად გამოაქვს ოლქის, ქალაქის, რაიონის თუ სოფლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვანი, სადღეისო საკითხები, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში აბამს მუდმივ კომისიებს, დეპუტატებს, ფართო აქტივს. ბევრი საოლქო, საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოს აღმასკომი უნარიანად ხელმძღვანელობს მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების მუშაობას, ეხმარება, კონტროლს უწევს მათ მიცემული განაწესის შესრულებისათვის ბრძოლაში.

დეპუტატები განუწყვეტლივ უნდა ეხმარებოდნენ საბჭოებს უკეთესად და სწრაფად გადაჭრან მათს წინაშე დასახული ამოცანები. დეპუტატი, როგორც ხალხის მსახური, უნდა იყოს ინიციატივიანი, კარგი საზოგადო მოღვაწე. მან ღირსეულად უნდა გაამართოს ხალხის ნდობა. დეპუტატები, იყენებენ რა სტალინური კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს, დიდ მუშაობას ეწევიან. ამის მაგალითები ჩვენს რესპუბლიკაში მრავალია.

შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა ამბროლაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა. რაისაბჭოს აღმასკომი გულდასმით სწავლობს შემოსულ სიგნალებსა და საჩივრებს, ხოლო შემოწმების შედეგებს სისტემატურად იხილავს აღმასკომის სხდომებზე, იღებს ქმედითს ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მშრომელთა სიგნალების საფუძველზე, თავისი დეპუტატების დახმარებით აღმასკომმა გამოარკვია, რომ სოფელ ჭელიაღელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ჭელიძე და თლუღის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბ. კობახიძე ბოროტად იყენებდნენ ნდობას, იტაცებდნენ სახალხო დოვლათს. ისინი მიცემული არიან პასუხისგებაში.

მაგრამ ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყველგან არ არის აღმოფხვრილი უდარდელობის, უყაირათო მუშაობის ფაქტები.

„საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა, — თქვა თავის სიტყვაში თბილისის XXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ,— უდარდელობის, პარადული კეთილდღეობის, სამეურნეო წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ. უნდა გავაძლიეროთ კავშირი მასებთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მშრომელ მასებთან ცოცხალი ურთიერთობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების და მათი ხისწორის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელისათვის ყველაზე ძვირფასია ხალხის ნდობა“.

ეს მითითება ადგილობრივი საბჭოების მუშაობასაც ეხება. აქედან პრაქტიკული დასკვნები უნდა გააკეთონ უწინარეს ყოვლისა ადგილობრივი საბჭოების იმ ხელმძღვანელმა მუშაკებმა, რომლებმაც დღემდე ვერ უზრუნველყვეს საბჭოების მუშაობის აყვანა ახალი ამოცანების დონეზე. ქედის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ლ. დიასამიძე) სუსტად არის დაკავშირებული მასებთან, ნაკლებად ზრუნავს მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის. წელს ეს საკითხი აღმასკომის სხდომაზე მხოლოდ ერთხელ განიხილეს. მოუწესრიგებელია მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა-განხილვა. რაისაბჭოს აღმასკომმა ორთვენახევარს გააჭიანურა ს. ასამბაძის სამართლიანი საჩივრის განხილვა. აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში პასუხი არ იყო გაცემული 46 მიმართვაზე, 23 განცხადებასა და საჩივარზე. ცუდად მუშაობენ საბიუჯეტო და სასოფლო-სამეურნეო მუდმივი კომისიები. მათ სამუშაო გეგმაც არა აქვთ. სრულ უმოქმედობას იჩენს სახალხო განათლების მუდმივი კომისია (თავმჯდომარე ო. დიასამიძე), ირღვევა სესიების მოწვევის ვადები და სხვ.

ამას წინათ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სესიამ მოისმინა სტალინირის რაიონული საბჭოს მუშაობის ანგარიში. გამოირკვა, რომ ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში სუსტ უბახს წარმოადგენს მასასთან, აქტივთან მტკიცე კავშირის უქონლობა. ადგილობრივი საბჭოები ხშირად დადგენილებას ფორმალურად იღებენ (ხეთაგუროვის, ძარის, ბიყარის სასოფლო საბჭოები). რაისაბჭოს აღმასკომი სუსტად მუშაობს დეპუტატებთან. აქ დაივიწყეს ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატის ანგარიშგება.

ნაკლი არსებობს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაშიც. მისი მუშაკები ყოველთვის როდი უწევენ კონკრეტულ დახმარებას ადგილობრივ საბჭოებს. ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუწვევიათ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ინსტრუქტაჟისათვის, მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის. სტალინირის რაისაბჭოს მიერ მოწვეულ ათდღიან სემინარზე საოლქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელმა მუშაკებმა არც კი ისურვეს გამოსულიყვნენ საბჭოების მუშაობის პრაქტიკის საკითხებზე.

ამოცანა ის არის, რომ მთლიანად გამოვასწოროთ ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ეს არის დეპუტატებისა და აღმასკომების პირველი რიგის მოვალეობა. აუცილებელია თვითეული დეპუტატი აქტიურად, ყოველდღიურად ძოხაწილეობდეს საბჭოს ძუშაობაში, ენერგიულად ჩაებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. დეპუტატი ვალდებულია დღითიდღე განამტკიცეპდეს კავშირს თავის ამომრჩევლებთან, მათთან გამოდიოდეს გაწეული მუშაობის ანგარიშით, ყოველმხრივ უწყობდეს ხელს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. დეპუტატმა გულდასმით უნდა შეისწავლოს ამომრჩეველთა მოთხოვნილებანი და აქტუალური საკითხები დააყენოს აღმასკომის სხდომებზე.

საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივმა პარტიულმა ორგახიზაციებმა გააძლიეროს ხელმძღვახელობა და დახმარება ადგილობრივი საბჭოებისადმი.

ადგილობრივი საბჭოების ცხოვრებაში იწყება ღირსშესანიშნავი პერიოდი. 13 დეკემბერს პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დანიშნულია 1953 წლის 22 თებერვალს.

არჩევნებისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში იწყება იმ მომენტში, როცა გაჩაღებულია ბრძოლა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეხუთე სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის. ქალაქად და სოფლად დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა აქტივობას, დარაზმონ ისინი ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მდგომი საბრძოლ ამოცანების —ახალი ხუთწლედით დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის, არჩევნებისათვის მზადების დღეები აღნიშნონ ახალი წარმატებებით.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება — გამოეყოს აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონს დაბა ახალი ათონი და სასოფლო საბჭოები: აცისა, აბღარხუჭისა, აჭანდარისა, ანუხვისა, ყულანურხვისა, მეორე ანუხვისა, მწარისა, ფსირცხისა, სანაპიროსი და შეიქმნას მათგან ახალი ათონის რაიონი ცენტრით დაბა ახალ ათონში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი, 1952 წ. 13 დეკემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აჭარის ასს რესპუბლიკის შუახევის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება — გამოეყოს ხულოს რაიონს სასოფლო საბჭოები: შუახევის, სხალთის, შუბანის, უჩამბის, დღვანის, ოლადაურის, ჭვანის, წყლისაყრის და ბარათაულისა და შეიქმნას მათგან შუახევის რაიონი ცენტრით სოფელ შუახევში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი, 1952 წ. 13 დეკემბერი.

ამიერკავკასიის რკინიგზამ შეასრულა დაგვირთვა-გადმოგვირთვის წლიური გეგმა

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა, ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის თავდადებული ბრძოლის შედეგად, 12 დეკემბერს დაამთავრა დატვირთვის წლიური გეგმის შესრულება.

გადმოტვირთვის წლიური გეგმა შესრულებულია 5 დეკემბრისათვის.

დატვირთვისა და გადმოტვირთვის 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კვეზანის, შორაპნის, ბათუმის, ერევნისა და სხვა სადგურების კოლექტივებმა.

მოპოვებული წარმატებით აღფრთოვანებული ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი გაორკეცებული ენერგიით განაგრძობს ბრძოლას დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ სხვა ვალდებულებათა შესრულებისათვის.

გეგმების შესრულება

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 9 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმა, ცხვრისა და თხისა — 108,2 პროცენტით, ღორისა — 128,5 პროცენტით და ცხენისა — 108,1 პროცენტით.

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 დეკემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა, ცხვრისა და თხისა—100,7 პროცენტით და ფრინველისა — 100,1 პროცენტით.

რუსთავი — სტალინო

რუსთავი. (საკ. კორ.). დღითიდღე მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა ქ. რუსთავისა და დონბასის მეტალურგთა შორის. ქალაქ სტალინოს გიგანტურ საწარმოებში აღზრდილი მრავალი ოსტატი ამჟამად რუსთავში მუშაობს და მეტალურგიული ქარხნის საამაყო ადამიანად ითვლება.

ამას წინათ ქ. სტალინოს მეტალურგებმა რუსთავის მეფოლადეებს გაძოუგზავნეს მასალები მარტენის საამქროს ახალი მეთოდით მუშაობის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინჟინერ სპერანსკის ლექცია. აქ გადმოცემულია საუკეთესო მეფოლადეების კუზმინის, ბიჩკოვის, პეტროვისა და სხვების ახლებურად მუშაობის მეთოდი.

რუსთავის მეტალურგებმა თავის მხრივ დონბასელ მეგობრებს გაუგზავნეს ცნობილი მეფოლადის შ. კუხალეიშვილის, ზეარხეთა ბრიგადიერის ვ. ფიროცხალავას, ოპერატორ ვ. კირვალიძის, ლითონის ამომკვეთლების ვ. იმნაძის, ტ. ლაბაძის, რ. დოლინსკისა და სხვათა ნოვატორული მეთოდით მუშაობის აღწერილობანი.

საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობის მთავარი ძალაა

„პრავდის“ 13/XII მოწინავე

საკოლმეურნეო წყობილებამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა და განმტკიცდა ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, უზრუნველყო სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობა.

გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი ი. ბ. სტალინი წერს:

„არავის არ შეუძლია უარყოს ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა კოლოსალური განვითარება უკანასკნელი 20 — 25 წლის განმავლობაში. მაგრამ ამ განვითარებას ადგილი არ ექნებოდა, ჩვენ რომ ოცდაათიან წლებში სოფლად არ შეგვეცვალა ძველი წარმოებითი კაპიტალისტური ურთიერთობანი ახალი, კოლექტივისტური წარმოებითი ურთიერთობებით. ეს საწარმოო გადატრიალება რომ არ მოხდარიყო, ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები ისევე გაიყინებოდნენ, როგორც ისინი გაყინული არიან ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში.“

საბჭოთა სახელმწიფოს განუწყვეტელი დახმარების მეოხებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით ადიდებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. ჩვენი მიწათმოქმედება სულ უფრო კვალიფიციური, უფრო პროდუქტიული ხდება და სულ უფრო მეტ სახაჟონლო პროდუქციას იძლევა. ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების ომამდელი დონე მიღწეულ იქნა ომის დამთავრების შემდეგ მესამე წელს. მიმდინარე წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა რვა მილიარდი ფუთი შეადგინა. მარცვლეულის პრობლემა, რომელიც წინათ ყველაზე მწვავე და ხერხიოზულ პრობლემად იყო მიჩნეული, გადაწყდა წარმატებით, გადაწყდა საბოლოოდ და მტკიცედ.

ომისშემდგომ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ბამბისა და ბაჭრის ბაჭლის წარმოება. კარტოფილის, ზეთოვანი და ხაკვები კულტურების წარმოების ომამდელი მოცულობა გადაჭარბებულია, მნიშვნელოვნად გადიდდა ხელისა და ბოსტნეულის წარმოება. მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციამ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ომამდელ დონეს გადააჭარბა. მაგრამ მეცხოველეობა ჯერ კიდევ ხერხიოზულად ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას მთელი სახალხო მეურნეობა უყენებს.

სახალხო მეურნეობის განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვენ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება განუხრელად დიდდებოდეს. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია:

„სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება. პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკისა და აგროკულტურის დანერგვის საფუძველზე, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების გზით“.

მილიონობით კოლმეურნე სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული სოფლის მეურნეობის დარგის მთავარი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტით, საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებით. პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა მხარი დაუჭირონ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, დანერგონ ყოველივე ახალი, მოწინავე, რომლის მიზანია კოლმეურნეობათა სიმდიდრის გამრავლება, მათი შემოსავლის გადიდება, განუყოფელი ფონდების შევსება. საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობათა მთავარი ძალაა.

საკოლმეურნეო წარმოება განუხრელი აღმავლობისა და აყვავების გზით მიდის. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი შარშან მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 1940 წელთან შედარებით 86,7 პროცენტით გადიდდა, ხოლო განუყოფელი ფონდები ამავე პერიოდის განმავლობაში გადიდდა ერთიოორად და უფრო მეტად.

საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი პირობაა მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების ზედმიწევნით შესწავლა, განზოგადება და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა. მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დაუცხრომელი ზრუნვა უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის წარმატებით განვითარებას, მისი საქონლიანობის ზრდას და ფულადი შემოსავლის გადიდებას. პრესაში არაერთხელ აღინიშნა ყუბანის, უკრაინის მთელი რიგი ოლქების, ჩელიაბინსკის ოლქის პარტიული ორგანიზაციების საყურადღებო ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს უმდიდრესი შინაურეზერვების გამოყენებას მინდვრების მოსავლიანობის გადიდებისა, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით განავითარონ კოლმეურნეობა პირადი დაინტერესება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდითა და განმტკიცებით, საზოგადოებრივი მეურნეობისა, რომელიც საბჭოთა გლეხობის კეთილდღეობის წყაროა. ჩვენი პარტია მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს სოფლის პატიოსან და კეთილსინდისიერ მშრომელთა მატერიალური წახალისების პრინციპს. ამას გამოხატავს პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი გადაწყვეტილებანი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხებზე. საკმაოა მტკიცედ დავიცვათ ეს დადგენილებანი, ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ კოლმეურნეთა პირადი დაინტერესება კოლმეურნეობათა ეკონომიკის განვითარებით.

წყვეტენ რა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანებს, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ამ ბოლო დროს გაუმჯობესეს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, უფრო ღრმად სწვდებიან მათს ეკონომიკას, ეხმარებიან კოლმეურნეობებს ყოველმხრივ განავითარონ საზოგადოებრივი მეურნეობა. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ავიღოთ, მაგალითად, ლენინაბადის ოლქი. იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეობების ძირითადი ძალები და სახსრები მოახმარონ უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, აქ მათ ხარჯავენ უმთავრესად საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის. აგებენ მრავალ შენობას, რომლებსაც არა აქვთ საწარმოო მნიშვნელობა, დიდ ფულს ხარჯავენ მათი მხატვრული გაფორმებისათვის, ძვირადღირებული მოწყობილობისათვის. ამავე დროს საწარმოო ნაგებობათა მშენებლობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მეცხოველეობის შენობების, ბამბის საშრობების, საწყობების მშენებლობის წლიური გეგმა ოლქის კოლმეურნეობებმა მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს. ასეულ ათასობით სული საზოგადოებრივი პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის ხადგომებით.

ცნობილია, რომ ტაჯიკეთმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგის — მებამბეობის განვითარებაში. საკმაოდ ხელმძღვანელობენ რა მეურნეობის ამ დარგს, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ხალქო კომიტეტები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებს, როგორიც არის მეცხოველეობა, მეგალეობა, მებოსტნეობა. ეს დარგები აქ სერიოზულად არის ჩამორჩენილი, მცირე შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობებს.

პარტია, ამხანაგი სტალინი გვასწავლიან, რომ ყოველი საზოგადოებრივი წყობილების განვითარებაში მთავარ და განმსაზღვრელ როლს ასრულებს წარმოება. მთავარი, საწარმოო ამოცანების დავიწყებას ან შეუფასებლობას შეუძლია მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობა სოფლად წარმართოს არასწორი გზით, გააძნელოს კოლმეურნეობების შემდგომი აღმავლობა და ამით სერიოზული ზიანი მიაყენოს საკოლმეურნეო წყობილებას.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესაბამისად კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდებანი უნდა მოხმარდეს პირველ რიგში საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას — სამეურნეო ნაგებობათა, მეცხოველეობის შენობების, სარწყავი და საშრობი არხების, წყალსატევების მშენებლობას, ჯაგნარებისაგან მიწების გაწმენდას, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, საკოლმეურნეო ელექტროსადგურებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობას. მხოლოდ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების ბაზაზე შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ გავადიდოთ კოლმეურნეობათა შემოსავალი და სულ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ კოლმეურნეთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. ყოველდღიურად ზრუნავენ რა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა იდგნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის სადარაჯოზე, დატაცებისა და განიავებისაგან იცავდნენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ საუთრებას. საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელია.

საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე ამბ. მალენკოვი ამბობდა, რომ ჯერ კიდევ არის საკოლმეურნეო ქონების განიავების ფაქტები და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სხვა დარღვევები. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი მუშაკი, ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესების სადარაჯოზე იდგეს, თვითონ იტაცებს საკოლმეურნეო ქონებას, ადგება საბჭოთა კანონების უხეში დარღვევის გზას, კოლმეურნეობათა მიმართ თვითნებობისა და უკანონობის გზას.

ასეთ ფაქტებს ატყობინებენ „პრავდას“ კრასნოიარსკის მხარიდან ბირილიუსის, შუშენსკოეხა და უფურის რაიონების ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი უხინდისოდ აფთარებს ხელს კოლმეურნეობის ჯიბეში და ხელს უწყობს საზოგადოებრივი დოვლათის სხვა დამტაცებლებს. ეს ფაქტები დიდი ხანია იცის პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტმა. მაგრამ უკვე რამდენიმე თვეა მასალები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ბოროტ დამრღვევთა შესახებ დევს სამხარეო კომიტეტში და მათს განხილვას არავინ ფიქრობს.

საჭიროა დაჯარის ბოლო მოეღოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებს, სოციალისტური სახელმწიფოს კანონების მთელი სიმკაცრით უნდა დაისჯნენ, როგორც საკოლმეურნეო წყობილების მტრები, საკოლმეურნეო დოვლათის დატაცებაში დამნაშავე პირები.

მეხუთე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანები დაისახა ობრძვის რა ამ ამოცანების განხორციელებისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა გლეხობა გაამრავლებს წარმატებებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში, სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობაში.

ოსურ ენაზე გამოიცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე ცალკე ბროშურად გამოსცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე.

პარტიული ცხოვრება

პარჯბიურო და უპარჯიო აქჯივი

პირველადს პარტიულ ორგანიზაციას დაკისრებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა არ შეუძლია ისე, თუ მას მუდმივი, მტკიცე კავშირი არა აქვს უპარტიო მასებთან, აქტივთან.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციას კარგად აქვს შეგნებული აქტივთან მუშაობის მნიშვნელობა, და ამიტომ არის, რომ იგი უნარიანად უძღვება მასების შემოქმედებითს ინიციატივას, რაც საწარმოს წინსვლის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

კომბინატი წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, სისტემატურად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და ამცირებს თვითღირებულებას. მაღალნაყოფიერი შრომის გამომხატველ მაჩვენებლებს უკან პარტორგანიზაცია კარგად ხედავს ცოცხალ ადამიანებს, ნოვატორული შრომის ოსტატებს, რომელთა შემოქმედებითი ნიჭითა და დაუშრეტელი ენერგიით მოპოვებულია ყველა სამეურნეო წარმატება.

კომბინატის საწარმოებში რამდენიმე ათასი კაცი მუშაობს. მათ შორის 295 კომუნისტია. ბუნებრივია, რომ იმ დიდ ახსნა-განმარტებითსა და მასობრივ-ორგანიზატორულ მუშაობაში, რასაც კომუნისტები ასრულებენ, აქტივი ძირითადი დასაყრდენი ძალაა.

პარტორგანიზაციას თავის ირგვლივ შემოკრებილი ჰყავს ასამდე აქტივისტი. აქტივის წრე განსაზღვრება იმ ადამიანებით, რომლებიც სისტემატურად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციას პრაქტიკულ საქმიანობაში. აქტივი პარტიის უბრალო თანამგრძნობი როდია. ყველა საბჭოთა ადამიანი მხარს უჭერს პარტიის ღონისძიებებს, მაგრამ აქტივი იმით განსხვავდება მათგან, რომ იგი სისტემატურად მონაწილეობს პარტიული ორგანიზაციის სისხლსავსე ცხოვრებაში.

ათობით უპარტიოს პარტიული ორგანიზაციის მიერ მიცემული აქვს დავალებანი, რაც დიდად უწყობს ხელს მათ ზრდას. ისეთი საპატიო დავალება, როგორიც აგიტაციის წარმოებაა, მინდობილი აქვს 18 უპარტიოს. მათ შორის ა. კაშმაძე, კ. ჩორგოლაშვილი, ვ. შანიძე და სხვები უნარიანად მუშაობენ, ეხმარებიან პარტორგანიზაციას მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში. საამქროების, ცალკეული ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების პროფორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმრავლესობა უპარტიოები არიან. აბრეშუმის საჩეჩ-სართავ წარმოებასა და მექანიკურ საამქროში პროფორგანიზაციის თავმჯდომარეებად არჩეული არიან უპარტიო ამხანაგები გ. ხაჭაპურიძე და გ. ხურცილავა. სარგებლობენ რა პარტორგანიზაციის მხარდაჭერით, ისინი საუკეთესოდ ასრულებენ მათთვის მინდობილ საქმეს.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს უპარტიოების მიერ დავალებათა შესრულებას. ამას წინათ პარტბიუროომ მოისმინა ძაფსაღებ და სართავ საწარმოებში სააგიტაციო მუშაობის მიმდინარეობის საკითხი და სხვებთან ერთად შეამოწმა უპარტიო აგიტატორების ი. სიმსივეს, ლ. ჯინჯიხაძის, ლ. ვარდანიძის, კ. კაზბეკოვის მუშაობა. მათ კონკრეტულად მიეთითათ ნაკლზე. პარტბიუროომ დასახა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

პარტორგანიზაცია მრავალი საკითხის შესწავლის დროს იყენებს უპარტიოებს. ღია პარტიული კრებები, რომლებსაც ხშირად იწვევენ კომბინატში, უპარტიოების აქტიური მონაწილეობით ტარდება. 19 სექტემბერს ღია პარტიულმა კრებამ განიხილა ზამთრისათვის მზადების საკითხი. მის მომზადებაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო უპარტიო ინჟინერმა ქ. ისაკაძემ. კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს და პრაქტიკული წინადადებანი წამოაყენეს უპარტიო სპეციალისტებმა. ინჟინერმა კ. კაზბეკოვმა აღნიშნა, რომ საჩეჩ-სართავ წარმოებაში მინების ჩაუსმელობის გამო ზამთარში შეუძლებელი იქნება ნორმალური ტემპერატურის დაცვა, რაც დაარღვევს ტექნოლოგიურ პროცესს და უარყოფით გაელენას მოახდენს ხარისხზე. სარემონტო-მექანიკური განყოფილების უფროსის ი. ჯიმშელეიშვილის სიტყვიდან გამოირკვა, რომ შემკეთებელთა ბრიგადა და პირველ რიგში მისი უფროსი ვ. გუდაძე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ისინი რემონტისათვის ცუდად იყენებენ არსებულ შესაძლებლობას. საქმიანი წინადადებანი წამოაყენეს აგრეთვე უპარტიოებმა მღებავმა ა. გურსკიმ, ბრიგადირმა ს. ხარჩენკომ და სხვებმა.

კრებამ განხილულ საკითხზე დასახა ღონისძიება, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა უპარტიოთა წინადადებებიც. ცხადია, ასეთი მუშაობა დიდად უწყობს ხელს უპარტიოთა აქტივობის ზრდას.

პარტიული ორგანიზაცია ყურადღებითა და გულისხმიერებით ეკიდება მასების შენიშვნებს. ამ დღეებში ზეინკალმა პ. გაბიძაშვილმა პარტბიუროს მიმართა განცხადებით ზოგიერთი ოსტატის თანაშემწის უხეირო მოქმედების შესახებ. შემოწმების შედეგად ამხ. პ. გაბიძაშვილის სიგნალი დადასტურდა. ოსტატის თანაშემწე შ. გვეტაძე და სხვები გაფრთხილებულ იქნენ.

საერთო საცხოვრებელში არსებულ ნაკლოვანებებზე პარტბიუროს სიგნალი მისცა უპარტიო ს. კუპრაშვილმა. პარტორგანიზაციამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად უკვე მიიღო ზომები.

ასეთი ფაქტები მრავალია. ეს სულ უფრო ზრდის პარტბიუროს გარშემო შემოკრებილ აქტივისტთა რიცხვს.

იმ მრავალფეროვან მუშაობაში, რასაც პარტბიურო ეწევა უპარტიო აქტივთან, დიდი მნიშვნელობა აქვს მასების იდეური შეიარაღებისათვის ზრუნვას. პარტიულ სწავლებაში ჩაბმულია 48 უპარტიო, რომელთა უმრავლესობა ბეჯითად მეცადინეობს საკუთარი თეორიული დონის ასამაღლებლად. მაგალითად, პარტიის ისტორიის შემსწავლელი უმაღლესი ტიპის წრის მსმენელები უპარტიოები ე. კეკელია, პ. მარუაშვილი, პ. მამასახლისი და სხვები ბეჯითად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. ათობით უპარტიო სპეციალისტი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით ეუფლება ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას. მათ დასახმარებლად მარტო ამ უკანასკნელ თვეებში 22 ლექცია არის წაკითხული.

უპარტიო აქტივთან კარგად დაყენებულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის რიგების ზრდისათვის. პარტიულ ორგანიზაციას შესაძლებლობა ეძლევა ყოველმხრივ შეამოწმოს უპარტიოთა საქმიანი თვისებები, მათი პოლიტიკური მომზადების დონე. ასე მოვიდნენ პარტიაში მრავალდაზგოსანი ფეიერები ვ. გველესიანი, ნ. სახვაძე და სხვები, რომლებიც ისე გამოიზარდნენ პოლიტიკურად, იმდენად აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ და პარტიულ ცხოვრებაში, რომ შესაძლებელი გახდა მათი სურვილის დაკმაყოფილება — პარტიის რიგებში მიღება.

აბრეშუმის კომბინატის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად უძღვება მასების შემოქმედებითს აქტივობას. კომბინატის საამქროებში ამჟამად ათასამდე სტახანოველი და დამკვრელია, რომლებიც ყოველდღიურად ადიდებენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი რესპუბლიკის წამყვანი საფეიქრო საწარმოა. მის წინაშე კიდევ უფრო დიდი პერსპექტივებია დასახული. ამ ამოცანებს კომბინატი მით უფრო წარმატებით გადაწყვეტს, რაც უფრო ფართოდ დაეურდნობა პარტიული ორგანიზაცია აქტივს თავის ყოველდღიურ მუშაობაში, რაც უფრო მჭიდრო იქნება მისი კავშირი მასებთან.

პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა კიდევ უფრო გააფართოოს აქტივის რიგები, უნარიანად წარმართოს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, აამაღლოს მათი მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის დონე, დარაზმოს მთელი კოლექტივი XIX პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხთან მისი სისხლხორცეული და განუყრელი კავშირია.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოსკოვი. საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი საინსტრუმენტო ინსტიტუტი დიდ მუშაობას ეწევა ახალ სახეობათა მკრელი ინსტრუმენტების გამოკვლევისა და მრეწველობაში დანერგვისათვის. **სურათზე:** მეცნიერი თანამშრომლები ინჟინრები მ. ს. ხარლამოვი და მ. პ. ციგანოვა ლითონის ჭრის ლაბორატორიაში ცდიან ახალი კონსტრუქციის მკრელ ინსტრუმენტებს.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

დედაქალაქის ახალმშენებლობანი

მოსკოვი შენდება. მწყობრში დგებიან სულ ახალ-ახალი სახლები.

მომავალ წელს მოჟაისკის გზატკეცილზე, პოკლონაიას მთის რაიონში დაიწყება საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობა, რომელთა საერთო მოცულობა მილიონ კუბურ მეტრს მიაღწევს. როცა ეს მშენებლობა დამთავრდება, შეიქმნება მოედანი, საიდანაც დაიწყება შესასვლელი დედაქალაქში მოსკოვ-მინსკის გზატკეცილის მხრიდან.

ოვჩინიკოვის სანაპიროზე სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო უახლოეს ხანში დაიწყებს საპროექტო ორგანიზაციების სახლის მშენებლობას, რომელიც ითვალისწინებს 150.000 კვადრატულ მეტრ სამუშაო ფართობს. თუ რა ოდენობისა იქნება ეს შენობა, შეიძლება ვიმსჯელოთ იმით, რომ მასში იქნება სპეციალურად მოწყობილი 50 საპროექტო დარბაზი, ლაბორატორიები, სტამბა, ბიბლიოთეკა და სხვ. ეს შენობა მოწყობილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ორი 9-სართულიანი შენობა აიგება შჩერბაკოვის ქუჩის დასაწყისში. ამჟამად მომდინარეობს დაპროექტება ათი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლისა შჩერბაკოვის ქუჩაზე. სახლები აშენდება აგრეთვე სემიონოვის მოედანზე, რომლის ცენტრში აიგება მაღალი შენობა.

იზრდება გიგლიოთეკების ძალი

ნოვო-პესჩანაია ქუჩა მოსკოვის ახალმშენებლობათა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რაიონია. აქ, ისევე როგორც ქალაქის სხვა რაიონებში, იზრდება კულტურულ დაწესებულებათა ქსელიც. ამ ქუჩის ერთ-ერთ ახალ სახლში (№ 42) გაიხსნა ლენინგრადის რაიონის მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელსაც დათმობილი აქვს ფართო, ნათელი ოთახები, კარგი წიგნსაცავი და სამკითხველო დარბაზი.

ამას წინათ ახალი ბიბლიოთეკები გაიხსნა ნოვოპოდმოსკოვნაიას ქუჩაზე, ჩრდილოეთ მუშათა დაბაში, ბუტირის ხუტორში.

ამჟამად მოსკოვში 554 ბიბლიოთეკაა.

ერთიანი ეროვნული ბიბლიოთეკა

განუყრელი ვართ ჩვენ და მშვიდობა

○

გიორგი კაჭახიძე

○

უყვარს მზიური სამშობლო ჩვენი,
მას ჩვენი ქვეყნის ნათელი ზრდიდა.
ძმობის დიდ გზაზე ერთმანეთს გშველით,
ერთად ვმოქმედებთ გაჩენის დღიდან.

ერთად ვამწვანებთ ჯეჯილით მიწას,
ქუჩებს ვამრავლებთ სოფლად, ქალაქად,
ომისგან ხალხთა სიცოცხლეს ვიცავთ
და ვზრდით სახალხო შრომის ბარაქას.

ჩვენი თვალი აქვს, ჩვენი სილაღე,
ჩვენებრ სძულს სუსხი, უამინდობა,
ხმას სიმართლისთვის ერთად ვიმაღლებთ,—
განუყრელი ვართ ჩვენ და მშვიდობა.

ის ჩვენთან არის... ის ყველგან არის,
არ იცის ქვეყნის საზღვარი, ზღუდე.
ყველა ხალხს მისთვის ღია აქვს კარი
და ისიც ყველგან იკეთებს ბუდეს.

ხან მტრედის ფრთებით დაფრინავს ლაღად,
ხან არწივივით მიაღწევს სივრცეს.
ის ელვას სტაცებს მდინარის ტალღას,
ხალხებს რომ მეტი ძალ-ღონე მისცეს.

გრანიტის ლოდებს სიცოცხლით ათბობს,
მზით აჭრობს ღრუბლებს მთაზე შეფენილს.
დღე რომ თენდება, წინ უძღვის მნათობს,
ყველა სიკეთის ქვეყნად შემქმნელი.

სიუხვით შრომის დევგმირებს ხიბლავს,
იკრებს გარშემო მეგობრებს გუნდად,
ხელდაკრეფილი არ ხვდება ხიფათს
და თავდაცვისთვის მზად არის მუდამ.

მის ხმაში ყველგან ხალხის ხმა ისმის,
სძულს ქვეყნად ომი, უამინდობა.
სტალინი არის მედროშე მისი,—
განუყრელი ვართ ჩვენ და მშვიდობა.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნა მშრომელებს

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში განუწყვეტლივ ვითარდება ლექციური პროპაგანდა. მარტო პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებმა მიმდინარე წელს წაიკითხეს 9.000-მდე ლექცია, რომლებსაც დაესწრო 700 ათასზე მეტი მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე.

რესპუბლიკის მშრომელნი დიდი ინტერესით ისმენენ ლექციებს, რომლებიც მიძღვნილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომებისადმი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ლექციებს კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე და სხვ.

მარტო ოქტომბერში წაკითხულ იქნა 1.200-ზე მეტი ლექცია, რომელთა დიდი ნაწილი მიეძღვნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ სიტყვას პარტიის XIX ყრილობაზე, ყრილობის მასალებს, განსაკუთრებით სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიან გეგმას.

მიმდინარე წელს საზოგადოებამ მოამზადა რამდენიმე ასეული ახალი ლექცია სხვადასხვა თემაზე. 23 პოპულარული ლექცია გამოქვეყნდა ბროშურად, მათ შორის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ჭახრაკიას ლექცია „ლენინი და სტალინი რევოლუციური სიფხიზლის შესახებ“, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ჯორბენაძის ლექცია „საბჭოთა სამართალი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის იარაღია“ და სხვ. მომზადებულია დასაბეჭდად 10 ბროშურა.

ლექციურ პროპაგანდაში დიდ აქტივობას იჩენენ მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეები. მათ შორის არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ვ. თოფურია, ვ. გულისაშვილი, ა. ახვლედიანი, პროფესორი ნ. იაშვილი, დოცენტები ი. გიგინეიშვილი, ა. ნუცუბიძე და სხვ.

უფრო მაღალ დონეზე მოვაწყოთ პროკურატურის კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა

ამ დღეებში თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროკურატურის ორგანოების კადრების დარგის მუშაკთა ჯგუფური თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პროკურატურის ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

„პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების და კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში პროკურატურის ორგანოების ამოცანების შესახებ“ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ ამხ. ვ. ბოლდირევმა.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ, — ამბობს მომხსენებელი, — შეაჯამა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგები და დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პერსპექტივები.

ყრილობის გადაწყვეტილებებს და განსაკუთრებით პარტიის ახალი წესდების დებულებებს, რომლებიც შეეხება პარტიის წევრთა მოვალეობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და პოლიტიკური აღზრდისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცებაში უდიდეს როლს ასრულებენ პროკურატურის ორგანოების კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს ქვეყანაში კანონიერების დაცვას.

უკანასკნელ ხანებში პროკურატურის ორგანოებმა უკეთ იწყეს კადრების შერჩევა. ამაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარა მუშაკების ატესტაცია, რაც მოეწყო 1951-1952 წლებში. საგრძნობლად გაუმჯობესდა საგამომძიებლო-საპროკურორო კადრების შემადგენლობა, გაიზარდა პარტიული ბირთვი.

მაგრამ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაკების შერჩევის, მათი პოლიტიკური და საქმიანი აღზრდისადმი ზერელე, უყურადღებო, ზოგჯერ კი პირდაპირ უდარდელი დამოკიდებულების ფაქტები. ძირითადი ნაკლია კადრების არასისტემატური შესწავლა. ზოგჯერ მათ ამოწმებენ პრაქტიკული მუშაობისაგან მოწყვეტით, ქაღალდებით, ანკეტური მონაცემებით, მათთან ცოცხალი კავშირის გარეშე.

ამხ. ბოლდირევი დაწვრილებით ეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროკურატურის ორგანოებში კადრებთან მუშაობის მდგომარეობას.

ძველი ხელმძღვანელობის დროს სერიოზული ნაკლოვანებები იყო საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში. უკანასკნელ ხანს კადრებთან მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გაწეულია დიდი მუშაობა უვარგისი მუშაკებისაგან რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების გასაწმენდად. ახლა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში მუშაობენ ახალგაზრდა, შემოწმებული, სანდო და პარტიის ერთგული კადრები, მაგრამ მათ ნაკლები გამოცდილება აქვთ. საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელთა ძირითადი ამოცანა ის არის, რომ სისტემატურად, მოთმინებით იმუშაონ ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მუშაკებს უნდა ვზრდიდეთ პოლიტიკური უდარდელობის, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, დოყლაპიობისა და თვითდამშვიდების წინააღმდეგ შეურიგებლობის, მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სიფხიზლის მოდუნების, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები იყო ჭიათურის რაიონის პროკურატურაში, სადაც ყოფილი პროკურორის ყველაშვილის დროს რამდენჯერმე დაიკარგა სისხლის სამართლის საქმეები. რომლებიც შემდეგ აღდგენილ იქნა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროკურატურის მუშაკთა თათბირზე

○

პროკურატურის ორგანოების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებლად, — განაგრძობს მომხსენებელი, — საჭიროა უფრო აქტიურად ჩავაბათ ისინი პარტიული განათლების სისტემაში — მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში, საქალაქო კომიტეტებთან და რაიკომებთან არსებულ მუდმივმოქმედ სემინარებში, რაიონულ პარტიულ სკოლებში. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას.

ამხ. ბოლდირევმა განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს პროკურატურის ინიციატივით დაწყებული მუდმივმოქმედი სემინარების დადებითი მნიშვნელობა და განაცხადა, რომ საქართველოს მაგალითით ასეთი სემინარების მოწყობა ფართოდ ვრცელდება სხვა რესპუბლიკებშიც.

კამათი დაიწყო აზერბაიჯანის სსრ პროკურორის მოადგილის კადრების დარგში ამხ. ა. სულეიმანოვის გამოსვლით.

— კადრების სწორი შერჩევისა და განაწილების ძირითადი მეთოდი, — თქვა ამხ. სულეიმანოვმა, — არის მუშაკების შესწავლა მათი პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის პროკურატურის კადრების განყოფილებაში რეზერვში ჩარიცხვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

პროკურატურის ადგილობრივი მუშაკების საქმიანობის შემსწავლელ რევიზიებს, მრავალრიცხოვან გასვლებს ცენტრიდან პერიფერიებში სათანადო ნაყოფი არ მოჰქონდა და ძირითადად ზერელე ხასიათს ატარებდა. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ახლა გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს და ახლო მომავალში პროკურატურა ბოლომდე გამოასწორებს მას.

სამხრეთ ოსეთის ოლქის პროკურორმა ამხ. ე. ცაბოლოვამ სამართლიანად გააკრიტიკა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის კადრების განყოფილება. ამხ. ცაბოლოვამ აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქის პროკურატურას ნაკლებად ჰყავს ადგილობრივი კადრები, რაც აძნელებს პროკურატურის ორგანოების მუშაობას მოსახლეობაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ კადრების დარგში ამხ. შ. მანჯავიძემ აღნიშნა, რომ პროკურატურის მუშაკთა ნაწილი მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში სწავლობს, რაიონულ პარტიულ სკოლებსა და პარტაქტივის სემინარებში გაერთიანებულია 64 მუშაკი, ხოლო 154 ამხანაგი დამოუკიდებლად მუშაობს წიგნზე.

— მაგრამ, — თქვა ამხ. მანჯავიძემ, — ჯერ კიდევ საჭირო კონტროლი არ ეწევა ოპერატიული მუშაკების თეორიული დონის ამაღლებას.

პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარები. ისინი ქმედითს დახმარებას უწევენ მუშაკებს. მაგრამ ზოგგან, კერძოდ, გურჯაანის, გორის, წყალტუბოს, ოჩამჩირისა და სხვ. რაიონებში სემინარების მუშაობა ჩაშლილია. ამ საქმისადმი ნაკლებ ყურადღებას იჩენენ ზემოთ ჩამოთვლილი რაიონების პარტიის რაიკომებიც, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დავალებული აქვთ სემინარების ხელმძღვანელობა.

აზერბაიჯანის სსრ ნახჭევნის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. ს. აკბეროვმა უსაყვედურა სსრ კავშირის პროკურატურას, რომ იგი დღემდე არ დაინტერესებულა ნახჭევნის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობით.

აფხაზეთის ასსრ პროკურორი ამხ. პ. ნაყოფია ძირითადად შეეხო ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობას და აღნიშნა, რომ პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი ნაკლია ის, რომ აქ ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ახალგაზრდა კადრებისაგან რეზერვის შექმნასა და მათს დაწინაურებაზე.

ამხ. ნაყოფიამ სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა საქართველოს სსრ პროკურატურა იმისათვის, რომ იგი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოძახებულ მუშაკებს დანიშნულებისამებრ არ იყენებს. რესპუბლიკის პროკურატურამ, თქვა მან, უნდა გააძლიეროს დახმარება კადრების აღზრდის საქმისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ თათბირის ზოგიერთი მონაწილე გვერდს უვლიდა როგორც საკუთარ, ისე პროკურატურის ზემდგომი ორგანოების მუშაობის გაბედულ და პრინციპულ კრიტიკას, მთელი სისრულით არ ავლენდა ნაკლოვანებებს. ასე მოიქცა, მაგალითად, თბილისის ოლქის პროკურორის უფროსი თანაშემწე კადრების დარგში ამხ. ა. ბაქრაძე.

სომხეთის სსრ პროკურორმა ამხ. ი. ისაგულოვმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის პროკურატურის საზედამხედველო განყოფილების საერთო ზედამხედველობის ზოგიერთი მეთოდი სრულყოფილი არ არის და შემდგომ დაზუსტებასა და შესწავლას მოითხოვს.

საქართველოს პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა ამხ. ა. ფხაკაძემ დააყენა საკითხი, რომ ქართულად ითარგმნოს „გამომძიებლის სამაგიდო წიგნი“, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მუშაობაში გამომძიებლებს.

— საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დანერგილმა მუშაობის მანკიერმა სტილმა, — განაცხადა საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. მ. ლომიძემ, — დიდად შეანელა ჩვენს რესპუბლიკაში დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლა, ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა დანაშაულებრივი ელემენტებისათვის, რომელნიც ხშირად დაუსჯელნი რჩებოდნენ.

პროკურატურის ძველი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივმა პოლიტიკურმა უდარდელობამ, კადრების შერჩევის პარტიული პრინციპის უხეშად დარღვევამ საქართველოს პროკურატურის ორგანოები დაანაგვიანა უვარგისი, საეჭვო მუშაკებით. ამიტომ შემოხვევითი არ იყო, რომ ეს ორგანოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის დახმარებით პროკურატურის აპარატი გაიწმინდა უღირსი მუშაკებისაგან. ისინი შეიცვალნენ პოლიტიკურად შემოწმებული, ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტებით, რომლებსაც უნარი აქვთ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანები.

ამხ. ლომიძე ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა დიდ დახმარებას უწევს ყოველდღიურ მუშაობაში პროკურატურის ორგანოებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობა, ამხ. ა. მგელაძის მიერ საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე მოცემული მითითებები.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის აპარატში მოვიდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებსაც მუშაობის საკმაო გამოცდილება არ ჰქონდათ, — ამბობს ორატორი, — ჩვენი მუშაობის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები საგრძნობლად ამაღლდა.

ამხ. ლომიძე დაწვრილებით ჩერდება იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას პროკურატურის ორგანოების წინაშე ახალგაზრდა სპეციალისტების გამოწრთობის საქმეში.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. ლომიძემ დაუთმო პროკურატურის ორგანოებისა და მეცნიერი მუშაკების კავშირს, და თქვა, რომ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-პედაგოგები ნაკლებად არიან დაინტერესებული პროკურატურის ორგანოების მუშაობით.

— პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამ ყრილობაზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ წარმოთქმული ბრძნული სიტყვით შეიარაღებული საქართველოს პროკურატურის ორგანოები, — დასასკვნის ამხ. ლომიძე, — ყველაფერს გააკეთებენ მათზე დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე ამხ. ნ. თარხნიშვილი, ქუთაისის ოლქის პროკურორის უფროსი თანაშემწე კადრების დარგში ამხ. გ. გოგუაძე, ბაქოს ოლქის პროკურორი ამხ. ა. ქერიმოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა.

თათბირის მონაწილეებისათვის მოეწყო ორდღიანი სასწავლო-მეთოდური სემინარები და ლექციები.

ხალხის ცხოვრების მომღერალი

(ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო)

ძნელია ჩვენს რესპუბლიკაში მოინახოს მუსიკოსის უფრო ძვირფასი და საყვარელი სახელი, ვიდრე სახელი „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ — მსოფლიო მუსიკალური კულტურის ოქროს ფონდში შესულ ამ ნაწარმოებთა ავტორისა.

რეალისტმა მხატვარმა ზაქარია ფალიაშვილმა მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ფალიაშვილის ნაწარმოებები ასახავენ ქართველი ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს, მის ცხოვრებას.

ზ. ფალიაშვილის მუსიკა მდიდარია მკაფიო კონტრასტებით, იგი შეიცავს უდიდესი დრამატული დაძაბულობისა და ტრაგიკული ძლიერების მთრთოლვარე ლირიზმს.

დიდმა გლინკამ რუსეთში, ფალიაშვილმა კი საქართველოში პირველებმა შეძლეს ხალხური მასალის გაბედულად გამოყენება. ხალხური სიმღერის ძირითად ინტონაციებზე დანერგილმა ამ დიდი კომპოზიტორების პროფესიულმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ ახალი მელოსი, სრულიად ახალი მხატვრული სახეები მოგვცა. ეს იყო ბრძოლა რუსული და ქართული მუსიკალური ენის დახვეწისათვის, მუსიკის განთავისუფლებისათვის ყოველგვარი პროვინციული ჟარგონისაგან.

ზ. ფალიაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი ეკუთვნის გასული საუკუნის მიწურულს, როდესაც თვითმპყრობელობის პირობებში ფეხქვეშ ითელებოდა ეროვნული, პროგრესული აზრის ყოველგვარი გამოვლინება, როდესაც ის-ის იყო ისახებოდა ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების გზები.

ზ. ფალიაშვილი დაიბადა 1872 წელს ქუთაისში. მამამისი პეტრე ივანეს-ძე ფალიაშვილი ორღანის დამკვრელი იყო. პატარა ზაქროს პირველი მუსიკალური შთაბეჭდილებანი დაკავშირებული იყო იმ სმოღერებთან, რომლებსაც მას და მის ძმებს უმღეროდა დედა. როდესაც ზაქროს 8 წელი შეუსრულდა, მან დაიწყო ფორტეპიანოს დაკვრის შესწავლა პიანისტ ფ. მიზანდართან.

1887 წელს ფალიაშვილების ოჯახი გადმოდის თბილისში. ძმები ივანე და ზაქარია იწყებენ ორღანის დაკვრას, პარალელურად მონაწილეობენ ლ. აღნიაშვილის გუნდში. 1895 წელს 23 წლის ახალგაზრდა ზაქარია იწყებს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების შესწავლას. ის შედის თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში. აქ სწავლობს მუსიკის თეორიასა და ისტორიას. მომავალ კომპოზიტორს უკვე ღრმად აქვს შეგნებული, რომ ეროვნული მუსიკის განვითარება შეიძლება მხოლოდ ხალხური სასიმღერო შემოქმედების ათვისების გზით. როგორც მისი შესანიშნავი თანამედროვე — ეროვნული კულტურის მოწინავე მოღვაწე დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილიც მთელ თავის ენერგიასა და ცოდნას ახმარს ხალხური სიმღერების შეკრებას. იგი მუსიკალური სასწავლებლის აღსაზრდელთაგან ქმნის გუნდს, მასთან ერთად სწავლობს და თბილისის მუშათა უბნებში ასრულებს სიმღერებს.

სწრაფად გადის სწავლის 4 წელი. 1900 წელს ზ. ფალიაშვილი მიემგზავრება მოსკოვში სწავლის განსაგრძობად. მოსკოვის კონსერვატორიაში სამი წლის სწავლამ ხელი შეუწყო ზ. ფალიაშვილს დასდგომოდა პროფესიონალი კომპოზიტორის გზას.

ბრუნდება რა მშობლიურ საქართველოში, 1903 წელს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუსიკალურ ცხოვრებაში. ზაქარია ფალიაშვილი ხდება „საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების“ (1904 წ.) ერთ-ერთი ორგანიზატორი. იგი არის ამ საზოგადოებასთან არსებული მუსიკალური სკოლის დირექტორი, შედის „ქართულ ენაზე ოპერის მომწყობი ამხანაგობის“ გამგეობის შემადგენლობაში, კვლავ იწყებს ხალხური სასიმღერო მასალების შეგროვებას, წერს მთელ რიგ დიდ ნაწარმოებებს სოლოსა და გუნდისათვის, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ 1917 წლიდან — თბილისის კონსერვატორიაში, რომლის დირექტორი იყო მრავალი წლის მანძილზე.

ქართული მუსიკალური კულტურისადმი თავდადებული სამსახური, დაუღალავი ბრძოლა ქართული მუსიკის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის, მუდმივი ზრუნვა ეროვნული მუსიკალური შემოქმედებითი კადრების აღზრდისათვის, დაუცხრომელი სურვილი შეობლიური მუსიკალური კულტურის სრული აყვავებისა — ასეთია ზ. ფალიაშვილის, როგორც მოქალაქისა და პატრიოტის, მოწინავე მუსიკალური მოღვაწის იდეალი. ამ იდეალის ხორცშესხმა შესაძლებელი ხდება საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ზ. ფალიაშვილი გარდაიცვალა ძმიმე ავადმყოფობისაგან თავისი შემოქმედების სრული გაფურჩქვნის დროს — 1933 წელს. ზ. ფალიაშვილმა დაწერა მრავალი რომანსი, სიმღერა და საგუნდო ნაწარმოები, რომლებიც ძვირფას საგანძურად შევიდნენ ქართულ მუსიკალურ კულტურაში, მაგრამ გენიალური კომპოზიტორის უდიდესმა ნაშრომთა შორის ალბათ ადამიანი, რომელიც შეუპოვრად ეძებენ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების გზებს.

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, რასაც ომის გამჩაღებლები უქმნიდნენ და ახლაც უქმნიან კონგრესის მუშაობას და დელეგატთა მგზავრობას, კონგრესის გახსნისას ვენის „კონცერტჰაუზში“ 2 ათასამდე კაცი შეიკრიბა. ასობით დელეგატი ჯერ კიდევ გზაშია.

მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის ცნობილ მოღვაწეებთან, კერძოდ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატებთან ერთად, როგორიც არიან ფრედერიკ ჟოლიო-კიური, ჰიულეტ ჯონსონი, მონიკა ფელტონი, ერიბერტო ხარა, გო მო-ჟო, ანა ზეგერსი და სხვები, — სხდომათა დარბაზშია ასობით დელეგატი, რომლებიც მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში არ მონაწილეობდნენ. ისინი, ისევე როგორც კეთილი ნების სხვა ადამიანები, კონგრესზე მოიყვანა კაცობრიობის ბედისათვის ზრუნვამ, მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილებისადმი მისწრაფებამ.

დამსწრეთა შორის არიან: ფრანგი მწერლები ჟან-პოლ სარტრი და ანრი ბაზენი, გვატემალის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ადვოკატი კრუს ფრანკო, ცეილონის პარლამენტის დეპუტატი ბანდარნაიკე, ცნობილი მათემატიკოსი მონტევიდეოს უნივერსიტეტის პროფესორი მასერა, ქრისტიანი სოციალისტი, შვეიცარიის გაზეთ „ციტდინსტის“ რედაქტორი დოქტორი კრამერი, განდის თვალსაჩინო მიმდევარი ინდოელი ვ. შაჰი, ინდოელი ეკონომისტი ჟუმარაპა, კოლუმბიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი რაფაელ მენდოსა და ბევრი სხვა. კონგრესს ესწრებიან აგრეთვე წარმომადგენლები მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა, როგორიც არიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ქალთა საერთაშორისო ლიგა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კავშირი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია და სხვა ორგანიზაციები.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ავანგარდში დგას, კონგრესზე გამოგზავნა დელეგაცია, რომელიც ფართოდ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მუშებს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას.

ნაშუადღევის 4 საათზე ადგილობრივი დროით „კონცერტჰაუზის“ ვეებერთელა დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. პრეზიდიუმის ტრიბუნა და დარბაზის კედლები მორთულია ცისფერი ტილოებით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ალმებით, წარწერით სხვადასხვა ენაზე: „ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი“. ბალკონები და ლოჟები სავსეა სტუმრებითა და ჟურნალისტებით.

4 საათსა და 45 წუთზე ტრიბუნაზე ადის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ჟან ლაფიტი. მან აცნობა შეკრებილთ, რომ პრეზიდიუმის არჩევის პროცედურის გასაადვილებლად ჟოლიო-კიური, როგორც კონგრესის მომწვევი ორგანიზაციის თავმჯდომარე, დაუკავშირდა ყველა ეროვნულ დელეგაციას, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს და ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, რომლებიც კონგრესის მუშაობაში მონაწილეობენ, რათა მათ დაესახელებინათ თავიანთი კანდიდატები პრეზიდიუმში. ლაფიტმა წაიკითხა პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთა სია 150 კაცის შემადგენლობით და დასძინა, რომ იმ ჯგუფებს, რომლებთანაც ჯერ კიდევ არ არის დამყარებული კონტაქტი, სრული შესაძლებლობა ეძლევათ დამატებით დაასახელონ კანდიდატურები პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

წარდგენილ კანდიდატთა სია დელეგატებმა ერთხმად მიიღეს. პრეზიდიუმის წევრები ტაშის გრიალში იკავებენ ადგილებს ტრიბუნაზე.

კონგრესის პირველი სხდომა მიმდინარეობს ჟოლიო-კიურის თავმჯდომარეობით, რომელიც სიტყვას აძლევს მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭოს თავმჯდომარეს მღვდელ ერვინ კოკს.

ერვინ კოკმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონგრესის მონაწილეთ. — იმ საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც აქ იქნება განხილული, — განაცხადა კოკმა, — სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ავსტრიისა და მისი მოსახლეობის აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ადამიანები დიდი იმედით ველიან, რომ ეს მსოფლიო კონგრესი თავიდან აგვაცილებს ომის საფრთხეს, ბოლოს მოუღებს შიშს და წაართმევს იარაღს ნგრევის ძალებს.

კონგრესის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ჟოლიო-კიურის შესავალი სიტყვა.

ჟოლიო-კიურის გამოსვლის შემდეგ, რომელსაც ოვაციით შეხვდნენ, ზოგიერთი დელეგატის თხოვნით დაიწყო წინასწარი დისკუსია კონგრესის მუშაობის საერთო რეგლამენტის და დღის წესრიგის დამტკიცებამდე.

სიტყვა აიღო ინდოეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა დოქტორმა კიჩლიუმ, რომელიც მშვიდობის სრულიად ინდოეთის საბჭოს თავმჯდომარეა. მან აღნიშნა, რომ ინდოეთის დიდი დელეგაციის შემადგენლობაში არიან ინდოეთის ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის, ინდოეთის ეროვნული კონგრესის, ინდოეთის კომუნისტური პარტიის, „პრაჯა პარტის“, გლეხთა და მუშათა პარტიის, პარტია „ფორვარდ ბლოკის“ წარმომადგენლები.

— რა უთანხმოებაც უნდა იყოს ჩვენს შორის, — ხაზგასმით აღნიშნავს კიჩლიუ, — ჩვენ სრული ერთიანობით გამოვდივართ საყოველთაო მშვიდობის საკითხში.

კიჩლიუმ განაცხადა, რომ ინდოელი ხალხი მეტად შეშფოთებულია ახალი მსოფლიო ომის მზარდი საფრთხით, მაგრამ მას განსაკუთრებით აწუხებს კორეაში ომის პრობლემა.

— ჩვენ რომ როგორმე მოვახერხებდეთ, — თქვა კიჩლიუმ, — კორეის საკითხის განხილვას და შევთანხმდებოდეთ მისი მოწესრიგების საფუძვლების შესახებ, ეს იქნებოდა მოვლენა, რომლის მნიშვნელობის წარმოდგენაც კი ძნელია და რაზეც ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება შეიძლება.

მან დასძინა, რომ თუ კონგრესის მონაწილეები მთელი სიმტკიცითა და სერიოზულობით მიუდგებიან თავიანთი ამოცანების შესრულებას, შეიძლება ეს ოცნება ახდეს.

შემდეგ ტრიბუნაზე ადის იტალიის პარლამენტის ქრისტიან დემოკრატთა პარტიის დეპუტატი ტერანოვა.

თავისი სიტყვის დასაწყისში ტერანოვამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ლაპარაკობს „მშვიდობის დაცვის საპარლამენტო შემათანხმებელი კომიტეტის“ სახელით, იმ მოძრაობის სახელით, რომელიც იტალიაში შეიქმნა 1951 წლის ოქტომბერში ლიბერალი, ქრისტიანი დემოკრატი, სოციალ-დემოკრატი, მემარჯვენე და მემარცხენე დამოუკიდებელი დეპუტატების ჯგუფის ინიციატივით.

ჩვენ აქ ვიმყოფებით, განაგრძო ტერანოვამ, რათა გამოვნახოთ გზები, ვიხმაროთ ყოველი საშუალება იმისათვის, რომ ადამიანთა უაზრო ჟლეტა აღარ განმეორდეს და მსოფლიო არ შეიღებოს სისხლით. თვით ფაქტი ჩვენი შეხვედრისა უკვე გამარჯვებაა. ჩვენ აქ ვამტკიცებთ და კვლავაც დავამტკიცებთ, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს, სხვადასხვა რწმენისა და იდეალების ადამიანებს შეუძლიათ შეხვდნენ ერთმანეთს მშვიდობის საქმისათვის და არა შეიარაღებულ შეტაკებაში.

თუ ჩვენ დავიქსაქსებით, თქვა დასასრულ ტერანოვამ, მსხვერპლი გავხდებით, ხოლო თუ გავერთიანდებით, საფუძველს ჩავუყრით მსოფლიოს ყველა ხალხის მეგობრობას, რომლის დროსაც თვითეულ ერს შეუძლია იცხოვროს მშვიდობიანად და განვითარდეს ისი, როგორც მას სურს.

წინასწარი დისკუსიის დასასრულს გამოვიდა ცნობილი ფრანგი მწერალი ჟან-პოლ სარტრი. ხაზგასმით აღნიშნა რა საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობა, სარტრმა თქვა: ახალი და შესანიშნავი ამ კონგრესზე ის არის, რომ იგი აერთიანებს ადამიანებს — არა დიპლომატებს, არა სპეციალისტებს, არა მინისტრებს, არამედ ყველა რწმენის, ყველა წოდების ადამიანებს.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მონაწილენი არ აპირებენ გასწორონ თავიანთი მთავრობების მაგიერობა. მათ გადაწყვიტეს ერთმანეთს დაუკავშირდნენ მთავრობების გვერდის ავლით. ისინი არ აპირებენ შექმნან რაიმე აბსტრაქტული ორგანო, რომელიც ბრძანებებს მისცემდა მინისტრებს. მაგრამ რამდენადაც სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის, ჩვენ შევათანხმებთ ჩვენს მოთხოვნებს და, როცა ჩვენს ქვეყნებში დავბრუნდებით, გამოვთქვამთ ნებას, რომელიც ერთსა და იმავე დროს თვითეული ხალხისა და ყველა ხალხის ნება იქნება. სარტრის ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

სარტრმა განაცხადა: ხალხები გამსჭვალული არიან რწმენით, რომ მშვიდობა, რომელიც მათ სურთ, სიკეთეა. მაგრამ ჩვენ ყოველგვარი მშვიდობა როდი გვსურს, თქვა მან, და, კერძოდ, არა გვსურს ტერორის საშუალებით დამყარებული მშვიდობა. ჩვენი რეაქციული პრესა, კომენტარს უკეთებდა რა ამ დღეებში ინგლისის ატომური ბომბის გამოცდას, აცხადებდა: „კიდევ ერთი ბომბი; მშვიდობის საქმე წინ მიდის“. როცა ჩვენ ეს გვესმის, გასაგები ხდება, რომ ჩვენი პირველი მოვალეობაა სიტყვა „მშვიდობა“ ამოვიღოთ ტალახიდან, რომელშიც იგი ჩაგდეს, და გაეწმინდოთ. არა, მშვიდობას არ შეიძლება საფუძვლად ედოს არც ტერორი, არც დაძაბულობა, არც მონობა.

ომი კაპიტალისტურ და სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის დღეს გარდუვალი იქნებოდა, განაგრძო სარტრმა, რომ შეიძლებოდეს დამტკიცება, რომ მათი თანაარსებობა **ეკონომიკურად** შეუძლებელია, ე. ი. რომ აღმოჩდეს, რომ ხალხებს ესაჭიროებათ ერთმანეთის მოსპობა იმისათვის, რომ იზრომონ და მაძღარი იყვნენ. მაგრამ ამას არავინ ამბობს. სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები სწორედ იძას ამბობენ, რომ მათ მშვიდობა სურთ, რომ თანაარსებობა შესაძლებელია.

დასასრულ სარტრმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო გაცვლის განახლება და გაძლიერება არათუ შეესაბამება კონკრეტული სინამდვილის საჭიროებებს, არამედ აგრეთვე ხელსაყრელი იქნებოდა მშვიდობის საქმისათვის.

სარტრის გამოსვლით, რომელიც პრეზიდიუმში დაბრუნდა დელეგატებისა და სტუმრების ტაშის გრიალში, დამთავრდა კონგრესის პირველი სხდომა.

* * *

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის სახელზე მრავალი მისასალმებელი წერილი და დეპეშა მოდის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან, პოლიტიკური და საზოგადო ძოღვაწეებისაგან, მეცნიერებისა და ხელოვნების ცნობილი მუშაკებისაგან.

მიღებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნესმეიანოვის, ამერიკელი ეთნოლოგიის პროფესორის დიუბუას, გერმანელი ევანგელიკი პასტორის ნიმელერის, დიდი ბრიტანეთის „მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნული საბჭოს“ აღმასკომის ვიცე-თავმჯდომარის კენტ ინგრემის, ახალგაზრდა ქალთა საერთაშორისო ქრისტიანული ასოციაციის გენერალური მდივნის ე. რობერტსის, ირანის მეჯლისის თავმჯდომარის ქაშანის, ბრაზილიელ მწერალთა ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარის გრასილიანო რამოსის, ფრანგი მხატვრების პიკასოსა და მატისის, ინგლისელი მწერლის ჯეიმს ოლდრიჯის, ბირმანჰამის ეპისკოპოსის ბარნსის, ბედფორდის ჰერცოგის (ინგლისი), ბრაზილიის პარლამენტის დეპუტატის ლუტერო ვარგასისა (პრეზიდენტ ვარგასის შვილი) და ბევრი სხვათა მისალმებანი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის შესავალი სიტყვა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე

ვენა, 12 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). თავისი სიტყვის დასაწყისში ჟოლიო-კიურიმ მისალმებით მიმართა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის ყველა მონაწილეს, აგრეთვე ავსტრიელ მშვიდობის მომხრეებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს კონგრესის მუშაობის ორგანიზაციას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოდის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით, რომელსაც ეკუთვნის ამ ფართო კონგრესის მოწვევის ინიციატივა, კონგრესისა, რომლის კარი ღიაა ყველა მოძრაობისა და ასოციაციისათვის, ყველა ადამიანისთვის, ვინც გულწრფელად ეძებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზას.

შემდეგ ჟოლიო-კიურიმ აღნიშნა, რომ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ყველა ქვეყანაში: მრავალი კრება, შეხვედრები სულ სხვადასხვა მიმდინარეობის მოღვაწეებისა, რომლებიც აქამდე ვერ ბედავდნენ აზრის ურთიერთგაზიარებას მშვიდობის საკითხზე. ეს მზადება, თქვა მან, ხელს უწყობდა იმ დაბრკოლებათა მოსპობას, როგორიც იყო უნდობლობა და გაუგებლობა ადამიანებს შორის, რომლებიც სხვადასხვა გზით მიდიან, მაგრამ სავსებით გულწრფელად ცდილობენ მიაღწიონ საერთო მიზანს — საყოველთაო მშვიდობას. ამ მოსამზადებელი საქმიანობის მსვლელობაში მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენებს განემარტა ნამდვილი აზრი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებისა კონგრესის მოწვევის შესახებ. ხალხებმა, რომლებმაც ნამდვილად მოამზადეს ეს კონგრესი, აირჩიეს დიდად საგულისხმო წარმომადგენლობა. არავის შეუძლია უარყოს, რომ სხვადასხვა ერის ამ წარმომადგენლობას ნამდვილი მსოფლიო ხასიათი აქვს.

შემდეგ ჟოლიო-კიურიმ დაახასიათა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული მეორე მსოფლიო ომის შედეგები, დედამიწის სამ რაიონში გაჩაღებულია ომი. წარმოებს საშიში გამალებული შეიარაღება, რომელიც აჩანაგებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკას, აფერხებს კაცობრიობის პროგრესს და აძლიერებს ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს. უშიშროების უზრუნველყოფის საბაბით დებენ პაქტებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, რომლებიც ფაქტიურად, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ აძლიერებენ ომის საფრთხეს. იზრდება საშიშროება, რომელიც დემოკრატიულ თავისუფლებებს ემუქრება. ცივი ომი გრძელდება ცილისწამებისა და სიცრუის იარაღის საშუალებით, მაშინ როცა ზოგიერთნი ცდილობენ შექმნან ჯვაროსნული ლაშქრობის ატმოსფერო, გააღვივონ მოსახლეობის ფანატიზმი და მოამზადონ იგი უსაზარლესი ხოცვა-ჟლეტისათვის.

შეეხო რა მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას სამხედრო მიზნით და ამასთან დაკავშირებით მოაგონა დამსწრეთ ატომური ბომბების აფეთქება ხიროსიმასა და ნაგასაკში, ჟოლიო-კიურიმ თქვა: ჩვენ კვლავ ურყევად გვწამს მეცნიერული პროგრესის კეთილმყოფელი გავლენა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თუ მეცნიერება იმათ დანაშაულებრივ ხელშია, ვინც ომს აჩაღებს, იგი მათ აძლევს სულ უფრო გამანადგურებელ იარაღს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა მესამე მსოფლიო ომის შედეგი. საჭიროა ყველას ახსოვდეს ეს საშინელი შედეგები იმ დროს, როცა ომები წარმოიებს, როცა მსოფლიოს უდიდესი საფრთხე ემუქრება.

ზოგჯერ ამ შესაძლო შედეგებს ისინიც ივიწყებენ, ვინც სხვადასხვა გზით ცდილობს დაიცვას მშვიდობა. მაშ რით შეიძლება აიხსნას, რომ ზოგჯერ ასეთი მოახლოებული საფრთხის წინაშე ისინი უნაყოფო და აბნეულ დავას იწყებენ მეორეხარისხოვან საკითხებზე ან ისეთ საკითხებზე, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულებაც კი არა აქვთ მშვიდობის შენარჩუნების ნამდვილ პრობლემებთან?

ასეთი შემაშფოთებელი მდგომარეობა შედეგია გარკვეული საერთაშორისო პოლიტიკისა, რომლის საშიროება ბევრმა შეიგნო ომის დამთავრებისთანავე. მდგომარეობის ამ სწორი შეფასების მეოხებით განხორციელდა ინიციატივა იმ ძალების შესაქმნელად, რომლებსაც შეუძლიათ წინააღუდგნენ ახალი ომის საფრთხეს. მაგრამ საჭირო იყო წარსულის გამოცდილების გათვალისწინება. ჩვენ ყველას გვახსოვს ღონისძიებანი, რომლებიც 1918-1939 წლების პერიოდში ხორციელდებოდა მეორე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად. საჭირო იყო გაგვეთვალისწინებინა ერთა ლიგისა და იმდროინდელ პაციფისტურ მოძრაობათა (მაგალითად, „მსოფლიო გაერთიანება მშვიდობისათვის“) მარცხის გაკვეთილი, რომელთა ცდა — შეექმნათ ძლევარი სახალხო მოძრაობა — ამაო აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ მაშინ ვერ შეძლეს ყოველი ქალი და ყოველი მამაკაცი, რომელიც მშვიდობას ესწრაფვის, დაერწმუნებინათ, რომ მშვიდობის დაცვის საქმე უშუალოდ ეხება მათ, რომ ისინი უნდა ზრუნავდნენ მშვიდობისათვის და რომ მათ შეუძლიათ იმოქმედონ ამ საქმის ინტერესებისათვის.

ჟოლიო-კიურიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ მოძრაობათა სისუსტე აიხსნებოდა იმით, რომ არ იყო ერთსულოვნება; განხეთქილებამ ხელმძღვანელობაში, ხოლო შემდეგ თვით მოძრაობაშიც შეუძლებელი გახადა რაიმე ეფექტიანი მოქმედების განხორციელება.

1949 წელს, განაგრძო ჟოლიო-კიურიმ, მოწვეულ იქნა მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესი; ეს ნაბიჯი გადაიდგა ამ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით და იმ რწმენით, რომ მშვიდობის ნამდვილ ძალებს წარმოადგენს ადამიანთა უდიდესი მასა, რომლებიც ომების ჯამი იტანჯებიან და რომელთა ნების წინააღმდეგ ომები შეუძლებელი იქნება.

ამ კონგრესის დამთავრების შემდეგ მეტ წილ ქვეყნებში შეიქმნა მშვიდობის მომხრეთა ეროვნული მოძრაობა, შეიქმნა მშვიდობის მსოფლიო საბჭო.

შეეხო რა შემდეგ მშვიდობის დაცვის ამნაირად შექმნილი მძლავრი მოძრაობის საქმიანობას, ჟოლიო-კიურიმ დამსწრეთ მოაგონა სტოკჰოლმის მოწოდება, რომელიც მოითხოვდა ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის უეცარ აკრძალვას და ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას; მოაგონა დამსწრეთ მიმართვა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ყველა ამ ფართო ღონისძიებამ, თქვა ჟოლიო-კიურიმ, შესაძლო გახადა ის, რომ საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვან ნაწილს გამოეთქვა თავისი ნება. გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ მშვიდობის ამ მძლავრმა ძალამ უკვე მოახდინა ძლიერი და დადებითი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებაზე.

ისინი, ვინც აცხადებს, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის საჭიროა ძალის გამოყენება, ცდილობდნენ ცრუ პროპაგანდით სახელი გაეტეხათ მშვიდობის მომხრეთა მოღვაწეობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთნი ცდილობდნენ და ცდილობენ შექმნან ჩვენს გარშემო უნდობლობის ატმოსფერო, ჩვენ მტკიცედ განვაგრძობდით ჩვენს საქმეს იმ იმედით, რომ მივაღწევდით ეღიარებინათ ჩვენი გაწეწრახვების გულწრფელობა. დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ დიადი სახალხო მოძრაობა, რომლის წარმოშობას ასე დიდად შეუწყო ხელი მშვიდობის მომხრეთა მოძრაობამ ობიექტური რეალობაა, და ვერავითარი პროპაგანდა, გათიშვის ვერავითარი ცდა ვერ ავნებს მას.

შემდეგ ჟოლიო-კიურიმ დაწვრილებით ილაპარაკა მშვიდობის დაცვის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ კემენის რაიონში იონჩხონის დასავლეთით.

მოწინააღმდეგემ ბევრი თვითმფრინავისა და დაახლოებით ერთი პოლკი არტილერიის ძალების დახმარებით 7-ჯერ მოიტანა გააფთრებული იერიში კემენის რაიონში, მაგრამ უკუგდებულ იქნა დიდი ზარალით.

გუშინ ღამით ამერიკელი ინტერვენტები თავს დაესხნენ მშვიდობიან დასახლებულ რაიონს ტედონის მაზრაში ფხენიანის მიდამოებში, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ არის. მხეცური დაბომბვის შედეგად დაიღუპა ბევრი ბავშვი, ქალი და მოხუცი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 9 თვითმფრინავი.

ნერუ ხელახლა აირჩიეს ინდოეთის პარტია — ეროვნული კონგრესის თავმჯდომარედ

ლუნდონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო დელიდან იუწყება, გუშინ პრემიერ-მინისტრი ნერუ მეექვსედ აირჩიეს ინდოეთის ახლანდელი მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარედ. იგი ამ პოსტზე იქნება ორ წელიწადს ნაცვლად ერთი წლისა, როგორც ეს გათვალისწინებულია პარტიის შეცვლილი წესდებით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის შესავალი სიტყვა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე

(დასასრული)

მოძრაობის ამოცანებსა და მისი განვითარების შემდგომ გზებზე. მშვიდობის დაცვის მოძრაობას, თქვა მან, არა აქვს იმის პრეტენზია, რომ მხოლოდ იგი მოქმედებს მშვიდობის ინტერესებისათვის, და მას არა აქვს აგრეთვე მომავალში ამ საქმიანობის მონოპოლიზების არავითარი განზრახვა. იგი მხოლოდ ცდილობს მთელი ძალღონით შეუწყოს ხელი მშვიდობის შენარჩუნებას.

ყველა აქ დამსწრემ იცის, რომ თუ საზოგადოებრივი აზრი შეიგნებს თავის ძალას, მისთვის ადვილია დასახოს იმ პრობლემების გონივრული, კომპრომისზე დაფუძნებული გადაწყვეტა, რომლებიც უთანხმოებას იწვევენ ერებს შორის, და მიაღწიოს ამ გადაწყვეტის განხორციელებას. ამ საქმეში დიდი წარმატებებია მიღწეული, რასაც მოწმობს ხალხთა მშვიდობის დაცვის ახლანდელი კონგრესი.

ჟოლიო-კიურიმ აღნიშნა, რომ კონგრესზე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ სულ სხვადასხვა ფილოსოფიურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებათა ადამიანები. მაგრამ ამ ადამიანებს აერთიანებს იმის შეგნება, რომ საჭიროა მოვიფიქროთ მშვიდობის მთელი ძალების ერთობლივი მოქმედება და რომ შეიძლება ერთობლივად გამოვნახოთ და განვსაზღვროთ ამ მოქმედების გზები და საშუალებანი. კონგრესზე დღეს დამსწრე ბევრ დელეგატს უნდობლობისა და გაუგებლობის გრძნობა დღემდე ხელს უშლიდა მოეფიქრებინა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობასთან ერთობლივი მოქმედება. ეს დაბრკოლება ახლა აღმოფხვრილია, თუმცა მთლიანად არა. ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევის ინიციატორთა მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ გააერთიანოს თავისუფალი და ნაყოფიერი დისკუსიისათვის ადამიანები, რომლებიც უფრთხილდებიან ცხოვრების თავიანთ სხვადასხვა წესს, მაგრამ სურთ ერთობლივად გამონახონ პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც დღეს ყველას შეშფოთებას იწვევს, ვისაც გულწრფელად სურს მშვიდობის შენარჩუნება. მშვიდობის დაცვის მოძრაობის წარსული მოღვაწეობა, აგრეთვე მისი მსოფლიო ხასიათი უფლებას აძლევდა მას გამოეჩინა ამ კონგრესის მოწვევის ინიციატივა. მოეპოვება რა ფართო და მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერა, აგრეთვე მუდმივი და ქმედითი ორგანოები, ამ მოძრაობას შეუძლია ყველაზე ძვირფასი დახმარება გაუწიოს ესოდენ დიდმნიშვნელოვანი კონგრესის მომზადებასა და უზრუნველყოფას.

ჩვენ ვერ მივაღწევთ ერთსულოვნებას, თქვა ჟოლიო-კიურიმ, თუ აქ მხოლოდ ანალიზს გავუკეთებთ წარსული განვითარების კანონებს, რათა ვიწინასწარმეტყველოთ განვითარების ყველაზე მოსალოდნელი მომავალი, ან ვიმსჯელოთ იმის შესაბამის ღირსებებზე, რასაც „ცხოვრების წესს“ უწოდებენ. მაგრამ არის კითხვა, რომელზეც ჩვენ ყველანი აქ, რასაკვირველია, დადებითად ვუპასუხებთ: შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა რეჟიმის მშვიდობიანი თანაარსებობა? მაგრამ საჭიროა კარგად შევიგნოთ აზრი ამ მტკიცებისა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ. მშვიდობიანი თანაარსებობის დაშვება ნიშნავს უარის თქმას — მიუხედავად იმისა, რა ღირსება თუ ნაკლი შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ სისტემას— იმის სურვილზე, რომ მიმართონ ომს ერებს შორის, რათა სხვა ხალხებს თავს მოახვიონ მმართველობის გარკვეული ფორმა; ეს ნიშნავს იმას, რომ უარყოფილ იქნას ჯვაროსნული ლაშქრობის ყოველგვარი სულისკვეთება, უარყოფილ იქნას პრევენტიული ომის თვით იდეა, რომელსაც ზოგიერთი აშკარად ქადაგებს, ხოლო ზოგიერთი მხარს უჭერს და ვერ ბედავს ნიღაბი მოიხსნას.

შემდეგ ჟოლიო-კიურიმ აღნიშნა, რომ ამჟამად სხვადასხვა სახელმწიფოს შორის არსებობს ინტერესთა ცოტად თუ ბევრად სერიოზული წინააღმდეგობანი. ამ პრობლემების ძალით გადაწყვეტაზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ დავისახოთ ამოცანა—გამოვნახოთ გადაწყვეტა მოლაპარაკების გზით, ყველასათვის მისაღები კომპრომისის ზოგჯერ ნელი და ძნელი, მაგრამ საჭირო ძიების საშუალებით, კომპრომისისა, რომელიც საბოლოო ანგარიშით, საერთო ინტერესების შესაბამისი იქნება.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ეს მშვიდობიანი თანაარსებობა, განაგრძო მან, ჩვენ უნდა გამოვნახოთ საშუალება, რათა უკიდურესი დაძაბულობის მდგომარეობიდან, რომელშიც ვიმყოფებით და რომელიც ხასიათდება სამი ომით, გამალებული შეიარაღებით და ცივი ომის ატმოსფეროთი,—გადავიდეთ დაძაბულობის შენელების მდგომარეობაზე, რაც საშუალებას მოგვცემს წარმატების იმედით დავიწყოთ საერთო მოლაპარაკება. ჟოლიო-კიურიმ განაცხადა, რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მივაღწიოთ მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას და ამ აკრძალვის განხორციელებისადმი კონტროლის დაწესებას. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ ატომური იარაღი ერთხელ უკვე გამოყენებული იყო ხიროსიმასა და ნაგასაკში. ნაპალმის იარაღის გამოყენების საშინელმა შედეგებმა საყოველთაო პროტესტი გამოიწვია ყველა ქვეყანაში. ბოლოს მთელ მსოფლიოში დიდი მღელვარება გამოიწვია ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებამ კორეასა და ჩინეთში. ამ იარაღის გამოყენების ფაქტები დადასტურებულ იქნა ჯერ დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის მოხსენებაში, ხოლო შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის მოხსენებაში. ეს კომისია ორი თვის მანძილზე იკვლევდა ამ ფაქტებს კორეასა და ჩინეთში.

თვითეულმა უნდა გაითვალისწინოს, თქვა მან, რომ ხვალ ყოველი ჩვენგანი, ჩვენი მახლობელი ადამიანები შეიძლება მოსპობის ამ საშინელი იარაღის მსხვერპლი გახდნენ, თუ ახლავე არ აღიკვეთა ის, რაც მოხდა კორეასა და ჩინეთში, და თუ შეუძლებელი არ გახდა ამგვარი იარაღის ყოველი ახალი გამოყენება. უწინარეს ყოვლისა საჭიროა მივაღწიოთ ჟენევის 1925 წლის ოქმის რატიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვდა მშვიდობის მსოფლიო საბჭო. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ დაუმტკიცებიათ ეს ოქმი.

ჟოლიო-კიურიმ ყველა მეცნიერს მოუწოდა მოითხოვონ, რომ მეცნიერება ემსახურებოდეს ადამიანთა კეთილდღეობის და არა მათი მოსპობის მიზნებს. მეცნიერნი იმათ პირველ რიგებში უნდა იყვნენ, ვინც იბრძვის მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის. მაგრამ ამ ბრძოლას მხარი უნდა დაუჭიროს ფართო პროგრესულმა საზოგადოებრივმა აზრმა. საჭიროა თქვა მან, მივაღწიოთ შეთანხმებას იმ მოვლენათა გაგებაში, რომლებმაც ასეთი მდგომარეობა გამოიწვია, რათა ზუსტად განვსაზღვროთ ის საფრთხე, რაც კაცობრიობას ემუქრება, რათა ერთობლივად განვსაზღვროთ დაცვის პირველი ღონისძიებანი.

შემდეგ ჟოლიო-კიურიმ მოუწოდა, რომ საჭიროა ბრძოლა, რათა შეწყდეს გამალებული შეიარაღება, რომელიც ძძიმე ტვირთად აწვება ყველა ქვეყნის ეკონომიკას. მშვიდობის დაცვის მოძრაობამ ამის გამო უკვე წამოაყენა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ნათლად არის გამოხატული გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მშვიდობის მომხრეთა ვარშავის კონგრესის მიმართვაში, აგრეთვე განიარაღების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს რეზოლუციაში, რომელიც ვენაშია მიღებული 1951 წლის ნოემბერში.

ხშირად გამალებული შეიარაღების შეწყვეტის წინააღმდეგ, თქვა მან, აყენებენ შესაძლო დეპრესიისა და უმუშევრობის წინაშე შიშზე დამყარებულ საბუთს, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აყენებენ ყალბ დილემას: „ეკონომიკური კრიზისი თუ ზეშეიარაღება?“, „სამხედრო წარმოება თუ უმუშევრობა?“. ჩვენ კონკრეტულ წინადადებათა საშუალებით უნდა განვმარტოთ, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ხელსაყრელი იქნება ყველა რეჟიმისათვის, რადგან ამას მოჰყვება ყველა ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის აყვავება.

ჟოლიო-კიურიმ ამხილა ნამდვილი მიზნები ყბადაღებული ბარუხის გეგმისა ატომის ენერგიისადმი კონტროლის შესახებ. ეს გეგმა, იგი რომ მიგვეღო, თქვა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კარგად ცნობილი მექანიკური უმრავლესობის მოქმედების გამო შეერთებულ შტატებს გადასცემდა ნამდვილ მონოპოლიას ატომის ენერგიის წარმოების დარგში.

ჟოლიო-კიური გადავიდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხის მეორე მხარეზე — კულტურულ გაცვლაზე. მან თქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო ესწრაფოდა ასეთი შენელების პირობების შექმნას, როცა მხარს უჭერდა ინიციატივას, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფები — ექიმები, არქიტექტორები და სხვ., აგრეთვე როცა აწყობდა ფართო საერთაშორისო ღონისძიებებს მსოფლიო კულტურის დიდ მოღვაწეთა იუბილეებთან დაკავშირებით. მან აგრეთვე აღნიშნა რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული მიღწევების გაცვლას სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

მაგრამ შეგვიძლია თუ არა ნამდვილად მივაღწიოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სანამ გრძელდება ომები კორეაში, ვიეტნამში, მალაიაში? — განაგრძო ჟოლიო-კიურიმ. შესაძლოა ჩვენ ყველას ვერ მოგვეხერხებინა შეთანხმების მიღწევა, თუ შევეცდებოდით იმის გამორკვევას, თუ ვინ აგებს პასუხს ამ ომების წარმოშობისათვის. მაგრამ ჩვენ, უეჭველია, შეგვიძლია შევთანხმდეთ იმაში, რომ მოვითხოვოთ საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ვიდრე შემდგომი კომპრომისების ძებნას დავიწყებდეთ.

ჟოლიო-კიურიმ გაიხსენა, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის მშვიდობის მომხრეთა პეკინის ამასწინანდელმა კონგრესმა მოიწონა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევის იდეა, და ჩვენი კონგრესი, უეჭველია, უყურადღებოდ არ დატოვებს იმ განცხადებას, რომელიც ამის გამო გააკეთა პარტია — ინდოეთის ეროვნული კონგრესის — ძველმა წევრმა, ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა კიტჩლევმა: „ვენის კონგრესი საესებით აუცილებელია. ეს კონგრესი გამოიყენებს პეკინში გაწეულ მუშაობას. პეკინის კონგრესი იზოლირებული მოვლენა როდია. იგი ერთი მთლიანის ნაწილია, იგი მშვიდობის დაცვის საერთო მოძრაობის ნაწილია“.

შემდეგ ჟოლიო-კიური შეეხო ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და უშიშროების საკითხს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სულ უფრო აშკარად ხელყოფენ ბევრი იმ ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობას, რომლებსაც ამ დამოუკიდებლობას ართმევენ ან ძალით, ან იმით, რომ მთავრობა უარს ამბობს დამოუკიდებლობაზე, რათა საზღვარგარეთიდან მიიღოს ფულადი სუფსიდიები ან პოლიციური და სამხედრო დაცვა, ანდა ამ დამოუკიდებლობას ფაქტიურად თუ იურიდიულად სპობენ ეკონომიკური ზეგავლენის მეშვეობით.

ჟოლიო-კიურიმ ცხადყო, რომ აზიისა და აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც ეროვნულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ, უპასუხებენ ძალადობით, რეპრესიებით და აშკარა ომითაც კი.

მან ხაზგასმით აღნიშნა იმ ადამიანთა მოსაზრებების უსაფუძვლობა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების შედეგად საჭიროა უშიშროების შენარჩუნების მიზნით შეიქმნას ზეეროვნული ორგანიზაციები. ეს ადამიანები იოლად ურიგდებიან ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას, თქვა ჟოლიო-კიურიმ. ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმას ბევრ ქვეყანაში სახავენ ორგორც ამ ქვეყნების ეროვნული უშიშროების პირობას. ისეთი პაქტების ფარგლებში, როგორიც არის, მაგალითად, ატლანტიკის პაქტი, პარიზისა და ბონის ხელშეკრულებანი, რომლებიც ითომდა აწესებენ ურთიერთ უშიშროების სისტემას, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა შეესაბამება შეერთებული შტატების სურვილს შექმნან სამხედრო ბაზები და უზრუნველყონ თავიანთთვის სტრატეგიული მასალები და ამავე დროს ეკონომიკური მოგება.

დღითიდღე სულ უფრო ცხადი ხდება, განაგრძო ჟოლიო-კიურიმ, რომ ეს სისტემა სინამდვილეში აგრესიის იარაღია და ძალიან მერყევს ხდის მისი მომხრე ქვეყნების უშიშროებას. ამ სისტემაში შემავალი ყოველი ერი შეიძლება ჩათრეულ იქნას ომში მისი ნების მიუხედავად. ეს სისტემა, რომლის მიზანია ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა საშუალებით ჩააბას გერმანიის აღორძინებული მილიტარიზმი და იმპერიალიზმი ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ბლოკში, ოდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის. ამ საშიშროებას სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ დასავლეთ ევროპის გამოჩენილი მოღვაწეები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, არ ამხილებენ მთელი ამ ეგრეთწოდებული ურთიერთ უშიშროების სისტემის საშიშროებას. ასეთივე მოსაზრებანი შეეხება იაპონიას. არ შეიძლება ნამდვილი უშიშროება იქნეს იმ ქვეყანას, რომელიც უარს ამბობს დამოუკიდებლობაზე. პირიქით, იმ ხალხებს, რომლებმაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, შესაძლებლობა აქვთ მოსთხოვონ სხვა სახელმწიფოებს თავიანთი უშიშროების გარანტიები.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ოთხ დიდ სახელმწიფოსა და გერმანიას შორის შეთანხმების გზით გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა პირველი ეტაპი იქნებოდა ნამდვილი კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე, ჟოლიო-კიურიმ მოაგონა დამსწრეთ გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის ბერლინის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობა.

მან მოუწოდა კონგრესის მონაწილეებს დაეყრდნონ უკვე მიღწეულ შედეგებს, განიხილონ საკითხები იმის სურვილით, რომ მიაღწიონ შეთანხმებას, როგორც ეს იყო პეკინის კონგრესზე და ბერლინის კონფერენციაზე. მაშინ ჩვენ შევძლებთ, თქვა მან, ერთობლივად ჩავუყაროთ საფუძველი ნამდვილ კოლექტიურ უშიშროებას. ამასთან დაკავშირებით ჟოლიო-კიური შეჩერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლზე. მისი ახლანდელი უმოქმედობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, თქვა მან, რომ მას მსოფლიო ხასიათი არა აქვს. მასში ჯერ კიდევ წარმოდგენილი არ არის ბევრი ქვეყანა. არ შეიძლება ვესწრაფოდეთ მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფას და ამავე დროს არ დავუშვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 450 მილიონი ჩინელის წარმომადგენლები იმ საბაბით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებასა და დღევანდელ დღეს შუა განვლილ პერიოდში მათ შეცვალეს თავიანთი რეჟიმი. მათ ეს რეჟიმი შეცვალეს არა თავიანთი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, არამედ ერთი სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც სამხედრო ძალით მხარს უჭერდა იმდენად გახრწნილ რეჟიმს, რომ ეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერაც კი უსარგებლო აღმოჩნდა. ჭეშმარიტებას არ შეესაბამება იმის მტკიცება, რომ ეს დიდი ხალხი, რომელსაც მრავალი ათასი წლის ცივილიზაცია აქვს და ახლა უმაგალითო აღმავლობის პერიოდს განიცდის, შეიძლება რამენაირად წარმოდგენილი იყოს ფორმოზელი მარშლით. არ შეიძლება ვცდილობდეთ მშვიდობის საქმის მოწესრიგებას და მხედველობაში არ მივიღოთ ეს ვრცელი კონტინენტი. მართლაც, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ განიარაღების შესახებ საერთაშორისო კონვენციის ხელმოწერა უჩინეთოდ და კონტროლის სისტემის დაწესება, რომელიც გაითვალისწინებს, რომ ჩინეთი არსებობს მხოლოდ პატარა კუნძულზე, რომელსაც იკავს ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტი?

ჟოლიო-კიურიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთხმივობის წესი გამოხატავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. უშიშროების საბჭოში ერთსულოვნებისადმი მისწრაფება იწვევს მოლაპარაკებას, კომპრომისის ძებნას. ორგანიზაციის ნორმალურ საქმიანობას აბრკოლებს მექანიკური უმრავლესობის გავლენის გამოყენება და მისწრაფება იმისაკენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით თავს მოახვიონ ამ უმრავლესობის ნება, ამასთან უმრავლესობისა, რომელიც ჩამოყალიბდა დემოგრაფიული მონაცემების გაუთვალისწინებლად.

ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩიხში იმყოფება, თქვა ჟოლიო-კიურიმ. მსოფლიოს გამთიშავი დიდი პრობლემების შესახებ მოლაპარაკებას არ მოსდევს მათი მშვიდობიანი გადაწყვეტა, რომელიც ყველა ხალხს სურს. ხუთი დიდი სახელმწიფო, რომელთა ერთხმივობასაც ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ვერ ხედება ერთმანეთს ამ ორგანიზაციაში იმის გამო, რომ იქ დაშვებული არ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

განა ასეთ პირობებში არ დადგა ღრო იმისათვის, რომ მივმართოთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და მისი სახელით ვუთხრათ ხუთ დიდ სახელმწიფოს: შეხვედით ერთმანეთს, იმსჯელეთ, გადადგით ის ნაბიჯი, რომელიც, უარყოფს რა ძალაზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს, დასახავს ნამდვილი მოლაპარაკების გზას?

ნება მიბოძეთ, თქვა ჟოლიო-კიურიმ, ამასთან დაკავშირებით გამოვთქვა ჩემი პირადი აზრი ამ მოთხოვნის საერთო და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რომელიც ხუთ დიდ სახელმწიფოს უნდა წარედგინოს და რომელსაც მე შემდეგნაირად ჩამოვაყალიბებდი: **„ხელი მოაწერეთ მშვიდობის პაქტს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს დაუბრუნებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მის ნამდვილ აზრს“.**

ჩემი აზრით, უმთავრესია, რომ ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებმა ხელი მოაწერონ პაქტს, რომელიც განსაზღვრავს საყოველთაო მშვიდობის ძირითად და მტკიცე პირობებს, რომლებიც მთლიანად მათზეა დამოკიდებული. ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის ამრიგად დადებული პაქტი, რომელიც დაეყრდნობა ხალხთა ნების მხარდაჭერას, ახალ ვითარებაში აღადგენს პირობებს კარგი ურთიერთობისათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის მომენტში არსებობდა. ეს პაქტი ამჯერად მტკიცედ უზრუნველყოფს წესდების ფორმისა და შინაარსის დაცვას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოიპოვებს მსოფლიო ხასიათს და შეძლებს სამართლიანად გადაჭრას ყველა უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მსოფლიოს ყველა ერთა შორის. ბოლოს, ამ პაქტს, რომლის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის, მოჰყვება დიდმნიშვნელოვანი შედეგი, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კვლავ მისცემს თავისი მისიის შესრულების საშუალებას.

დასასრულ ჟოლიო-კიურიმ მიმართა კონგრესის დელეგატებს და თქვა: ჩვენ ხალხებმა დაგვავალეს და უფლება გვაქვს გამოვთქვათ მთავრობათა წინაშე ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი. იმ იმედს, რომელსაც ჩვენზე ამყარებენ, უნდა ვუპასუხოთ საქმეებით, მშვიდობის საქმეებით. ჩვენ ვიცით, მოსპობის რა საფრთხე ემუქრება მთელ კაცობრიობას, მაგრამ ამით ჩვენი მისწრაფება მშვიდობისათვის ბრძოლისადმი კი არ სუსტდება, არამედ, პირიქით, მტკიცდება. ჩვენ ყოველგვარი ჯვაროსნული ლაშქრობის მტრები ვართ და ვიბრძოლებთ სიცრუის წინააღმდეგ, სიძულვილის გაღვივების წინააღმდეგ, ცრურწმენათა წინააღმდეგ.

დაახლოებით 10 დღის წინათ თბილისიდან ბაქოს გაემგზავრა ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი 16 კაცის შემადგენლობით. მათთან ერთად იყვნენ გამოცდილი მწვრთნელები კუზიანიძე, ძეკონსკი, კაპიტანოვი და იორდანიშვილი. საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივის წინაშე დიდი და სპასუხისმგებლო ამოცანა იდგა — გუნდს, მის ყოველ წევრს საკავშირო ჩემპიონატში უნდა დაეცვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

შეჯიბრება დამთავრდა. როგორც ცნობილია, ამ მრავალფეროვან და საინტერესო ასპარეზობაში საქართველოს სპორტსმენებმა გამოამჟღავნეს საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე და ვ. გიგიაძე თავიანთ წონითს კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ.

გუშინ, 13 დეკემბერს, ჩვენი ქვეყნის 1952 წლის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს გუნდი ბაქოდან თბილისს დაბრუნდა. ქალაქის ფიზკულტურელებმა და მოსწავლეებმა გამარჯვებულებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

სურათზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში—საქართველოს გუნდი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატი

მეათე ტური

12 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის მე-10 ტური. რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლის დიდ დარბაზში ჭადრაკს მრავალი მოყვარულით იყო გაჭედილი.

ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა ტაიმანოვ — ბრონშტეინის პარტია. 41-ე სვლაზე გროსმასტერმა ტაიმანოვმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ხანგრძლივი ძაბვერული ბრძოლა ახასიათებდა გროსმაისტერ ბოტვინიკის შეხვედრას გროსმაისტერ სმისლოვთან. პარტია გადაიდო ისეთ მდგომარეობაში, სადაც სხვადასხვა ფერის რაუების მეოხებით სმისლოვი ინარჩუნებს ყაიმის შანსს. განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა ბივშევის შეხვედრა გროსმაისტერ ბოლესლავსკისთან. პარტიის ბედი გადაწყდა ცაიტნოტში. ბოლესლავსკიმ დაუშვა შეცდომა და დაკარგა ლაზიერი, რის შემდეგ დამთმო პარტია.

სვერდლოვსკელმა ოსტატმა ილივიცკიმ, რომელიც კონსტანტინოპოლსკისთან თამაშობდა, ცენტრში ოსტატური გარღვევით აიძულა მოწინააღმდეგე მიეცა რკუ. პარტია გადადებულია. ილივიცკის მოსაგები მდგომარეობა აქვს. ტულელმა ოსტატმა სუეტინმა ძლიერად გათამაშა პარტია ტურნირის ერთ-ერთი ლიდერის ოსტატ კორჩნოის წინააღმდეგ. 36-ე სვლაზე კორჩნოი დანებდა. სიმაგინ—არონინის პარტია გადადებულია.

გელერმა კარგი სტილით მოუგო კანს. მოისვეე—კასპარიანის პარტია გადადიდო. დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე გოლდენოვ—ლეპნიცკის შეხვედრა. ტოლუშ—კერესის შეხვედრა არ შემდგარა. სიმაგინმა მეცხრე ტურში გადადებული პარტია დაუთმო ტაიმანოვს. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ლევან ნიკოლოზის-ძე დიასამიძე კომუნალურ მეურნეობისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საახალწლო ნაძვისხეები რკინიგზელთა ბავშვებისათვის

რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტმა გააჩაღა მუშაობა რკინიგზელთა ბავშვებისათვის საახალწლო ნაძვისხეების მოსაწყობად. რკინიგზელთა 3.500-ზე მეტი ბავშვი მხიარულად გაატარებს ახალ წელიწადს, რისთვისაც ასიგნებულია 80.000-მდე მანეთი.

ნავთლუღის, ხაშურის, ქუთაისის, სამტრედიის, ბათუმის, სუხუმის და სხვა რკინიგზის კვანძების კლუბებში ეწყობა ნაძვისხეები, იძიენენ საჩუქრებს ბავშვებისათვის.

რკინიგზის საველე საგზურებს მუშაკთა ბავშვებისათვის მზადდება ნაძვისხეები სპეციალურ ვაგონ-კლუბებში. ეს კლუბები საველე საგზურებში გამართავენ კონცერტებს ხელოვნების მუშაკთა გამსვლელი ბრიგადების ძალებით.

რკინიგზელთა 800 ბავშვი დაესწრება საქალაქო ნაძვისხეს, რომელსაც აწყობს საქართველოს პროფსაბჭო თბილისში.

„ოთარაანთ ქვრივის“ განხილვა

15 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამწლიანი პარტიული სკოლის კლუბში შედგება რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლის „ოთარაანთ ქვრივის“ დადგმის განხილვა.

განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული სკოლის მსმენელები, მსახიობები და მწერლები.

მწერალთა კავშირში

ორშაბათს, 15 დეკემბერს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შედგება ა. ბარამიძის, შ. რადიანისა და ბ. ელენტის წიგნის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ განხილვა.

მომხსენებლები — გ. ნატრიშვილი და ა. ჭეიშვილი.

კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მეცნიერი მუშაკები.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

14 დეკემბერს	ბ. ასაფიევი — **ბაღჩისარაის შადრევანი**
17 დეკემბერს	ჯ. ვერდი — **რიგოლეტო** (ხ. სტარჩენკოს მონაწილეობით უკანასკნელი გამოსვლა)

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — პირველი ნაბიჯი (დილას), **ნიკოლოზ ბარათაშვილი** (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის**—გაზაფხულის დილა (დილას), რაც გინახავს, ვეღარ ნახავ! (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ოპტიმისტური ტრაგედია (დილა-საღამოს); **სომხური დრამის**—ქალიშვილი ლუსაკერტიდან (დილას), ქორ-ოღლი (საღამოს); **მუსიკალური კომედიის**—თბილისის ცის ქვეშ (დილას), მეგობრები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—პატარა მეომრები (ამბონემენტი 50, 12 ს.), უკანასკნელი ორიონი (ამბონემენტი 3, 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მოალისფრო ყვავილი (2 ს.), გიმნაზიელები (8 ს.); **სანიტარული კულტურის** — მეგობრები (დილას), გოჩა მონდიაური (საღამოს); **თოჯინების**—ამპარტავანი კურდღელი (12 ს.), პოტაპიჩი (2 ს.).

მოქალაქე **ვლადიმერ იაგორის-ძე ცხვარიაშვილმა,** მცხოვრებმა ვახტანგის ქ. № 53, აღძრა საქმე სამხედრო ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **ტატიანა პაველეს ასულ მელნიციკიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე არსენ, შვილები ნელი, დალი, ომარ, დედამთილი ირინე ლეკავები, მშობლები ნაღია, ნოე, ძმები გიორგი, ვახტანგი გულდედაები, მაზლი ილია, რძალი შურა, შვილებით კარლო, იზოლდა ლეკავები, მულები ოლია, ეკა ოჯახებით იუწყებიან **ნადია ნოეს ასულ ლეკავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XII, ს. დედაჯიხაიში.

მეუღლე ლილი, შვილები მარიამ, რენო, რძალი ელენე, შვილიშვილი რუსუდან კაპანელები, ძმა ლევან ჭანტურაია, და ფეოდოსია, დისწულები ირა, ჯანსუღ, მაღლენა იუწყებიან **კონსტანტინე გრიგოლის-ძე კაპანელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-XII, 2 ს. ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 42.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური საგზურის და რენტგენოელექტრო-მექანიკური სახელოსნოს თანამშრომლები იუწყებიან **ემილია ივანეს ასულ ნაზარიშვილის** გარდაცვალებას.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან **ემილია ივანეს ასულ ნაზარიშვილის** გარდაცვალებას.

რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია და პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან დოცენტ **კონსტანტინე გრიგოლის-ძე კაპანელის** გარდაცვალებას.

შეუღლე ალექსანდრა. შვილები თამარ, მანია, ტატიანა, მარგალიტა, ნინო, ვლადიმერ, ირა, რძალი ელენე, სიძეები ი. მჭედლიშვილი, ი. მაისურაძე, ვ. ლომსაძე, ვ. ზერეკიძე შვილებით იუწყებიან **ლევან ნიკოლოზის-ძე ჩიხლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XII ს. ლიკანში (ბორჯომის რ.).

ძმა ალექსანდრე, რძლები ეკატ